


ფასი 25 კაპ. | დეკემბრის 14 | 1924 წ. № 18 (21)



**ძუკუ ლოლუა**

(ხალხური მომღერალ-ლოტბარი)

გარდაცვალებიდან 5 თვის შესრულების გამო.

(იხ. ამავე ნ-ში „ქართველ მოღვაწეთა“ ლექსიკონი 11 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი:


**მეთაური**—ყ ბახზე უნდა გავიმარჯვოთ!
**ის. ვარაზაშვილი**—საქმე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს.
**პეტრე მირ·ანაშვილი**—ენის კულტურისათვის.
**დ. თურდოსპირელი**—ქ·ნგი გულისა.
**გუგა ნარვილი**—თარის ხმაზე.
**ა. ბუნებიშვილი**—ლეგენდა.
**შალვა გომართელი**—შემოდგომის ფერია.
**ილ. ჩავლეიშნილი**—ორიოდე სიტყვა გურულ სიმღერებზე.
**სოფ. მგალობლიშვილი**—ჩემი თავ·ადასავალი.
**ამ. ჭელიძე**—სპარსული მწერლ·ბა.
**სანდრო შანშიაშვილი**—პაპლაყურა და ელთერო (ღმერთების პანთეონიდ·ნ).
**გ. რუხაძე**—ქალს.
**გ. ქუჩიშვილი**—შემოდგომა ტფილისში.
**გერცელ ბა ზოვი**—იუდეელი.
**ა. გ. ალექსიძე**—რა არის ცეკვა ან რა მნიშვნელობა აქვს.
**იოსებ იმედაშვილი**—ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი: ძუ·კუ ლოლუა.
**ჯაფარ-ფაშა**—იუზა ზარდალიშვილი.
**ძველი მუშა**—თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში დალუპულნი—ასოთ-ამწყობი ვასო ურუშაძე.
**სურენ ავჩიან**—სომეხთა მწერალ-მოღვაწენი—აზატ ვშტუნი.
**სიმ. მთვარაძე**—დაბა სოფლის თეატრის ისტორია: საგარეჯოს თეატრი.
X—საბავშვო მწერლობა.
**სახელოვნო მიმოხილვა.**


**სარედაქციო კოლეგია** (ანბანთა რიგზე): **ახნაზაროვი** ა. მ., **ბუხნიკაშვილი** გ., **ვარაზაშვილი** ი. ს, **თევზაია** ბ., **იმედაშვილი** იოსებ, **ოლანეზაშვილი** ალ., **ღვინიაშვილი** ანნა, **ჩოდრიშვილი** მიხ., **ციმაკურიძე** ალ.

**კორესპონდენ·** ვაფრთხილებთ ც·ლმხრივ, წინასწარ ცრუ განზრახვით დაწერილ მასალის გამოგზავნას ერიდნენ და რედაქციას შეცდომაში ნუ შეიყვანენ.

---

# მიიღება ხელის მოწერა 1925 წლის

## სამხატვრო-სათეატრო-სახელოვნო სურათებიან ჟურნალი

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

**1910 წ.** | **XV** წელიწადი გამოცემისა **XV** | **1925 წ.**

## სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებლობით და საუკეთესო თანამშრომელთა მონაწილეობით

## იუმორისტულ განყოფილებით

**„თეატრი და ცხოვრება“-ს წლიური ხელისმომწერნი მიიღებენ:** ყოველკვირა ჟურნალ **„თეატრი და ცხოვრებას“**-ს, სულ 52 № ს წლის განმავლობაში, ხოლო ყოველ სა· თვეში ერთჯერ **უფასო პრემიას** წელიწადში **ოთხ წიგნს „ცხოვრების სარკე“.** რომელშიაც დაბეჭდილი იქნება **სარეპერტუარო კლასიკური და თანამედროვე რჩეული პიესები.**

**ვისაც ჰსურს მომავალ 1925 წ. განმავლობაში** ჟურ. **„თეატრი და ცხოვრება“** და პრემია **„ცხოვრების სარკე“** მიიღოს, იანვრის გასვლამდე **უნდა მოაწეროს ხელი**, რათა ვიცოდეთ რამდენი წიგნი გამოვცეთ,—საპრემიო კრებული მხოლოდ ხელისმომწერთათვის დაიბეჭდება:

## „ცხოვრების სარკე“ ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.

**„თეატრი და ცხოვრება“** გაგზავნით, ოთხივე დამატებით, ეღირება წლიურად—**10 მან.**, **ხელის მოსაწერი** ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილად შეიძლება: ხელის მოწერის დრ·ს—3 მ., აპრილის 1-ისთვის—2 მ., მკათათვის 1-სთვის 2 მან., ოქტომბრისთვის 1-ისთვის—3 მან., თითო № 25 კ. **ხელის მოწერა მიიღება** რედაქციაში (ტფილისი, სასახლის ქ. № 5, მეორე სართული,—შესავალი—ძველი ქართული თეატრის (ქართული კლუბის) მხრივ, ფოსტით; ტფილისი, სასახლის ქ. № 5, რედ. „თეატრი და ცხოვრება“—იოსებ იმედაშვილს. რედაქცია ღიაა: დილით 9—3 ს., ნაშუადღევს 5—7 ს.

**პასუხისმგებელი ხელმძღვანელი: სარედაქციო კოლეგია.**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი.**

# თეატრი და ცხოვრება

1910—1924

წელიწადი XIV

№ 18 (21)

ფასი 25 კ. ჩერვ.

„თეატრი და ცხოვრება“
ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი.

რედაქციის მისამართი: ყოფ. ქართული თეატრი—სასახლის ქ. № 5 „ახალ კლუბის“-ს ეზოში.

ფოსტით: ტფილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“, იოსებ იმედაშვილს.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | დეკემბრის 14 | გამოცემა 1924 წ.


## ყაბახზე უნდა გავიმარჯვოთ!

გაგეგონებათ ჩვენი ყაბახი:

ძვინდელ ალექსანდრეს ბაღში ამართული იყო ძელი. ძელზე ოქროს თასი იდო. მოჯირითენი გაქანებულ ცხენდაცხენ ჯირითს ესროდენ,—ვინც ჩამოაგდებდა, გამარჯვების პირველი ჯილდო ენიჭებოდა, ანუ დღევანდელისებურად რომ ვსთქვათ, პირველ პრიზს იღებდა.

დღეს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები და, მათ შორის საქართველოც, ჩაბმული არიან ერთ უდიდეს საქმეში: საალმშენებლო მოღვაწეობასთან ერთად, სცდილობენ რევოლიუციის ათის წლის თავისთვის, ე. ი. 1927 წ. სრულიად მოსპონ წერა-კითხვის უცოდინარობა.

რა გზით შეიძლება ეს?

რესპუბლიკის მთავრობას გადაუწყვეტია, პირველდაწყებითი სკოლების გარდა მოაწყოს სკოლის გარეშე განათლებაც, ე. ი დახსნას წ. კ. უ. სალიკვიდაციო სკოლები, ქოხ სამკითხველოები და სხ., რომელსაც სათავეში უდგას პოლიტგანათლების მთავარსამმართველო.

რესპუბლიკის ქალაქები და დაბა-სოფლები ამ საქმეს უკვე შეუდგნენ.

როგორც გამოანგარიშებულია, ამჟამად საქართველოში ავტონომიურ რესპუბლიკების გარდა მოიპოვება დაახლოვებით 370.000 წერა-კითხვის უცოდინარი. პოლიტგანათლების მთ. სამმართველოს გეგმით წელს უნდა გაიხსნას 4100 მეტი წ. კ. უ. მოსასპობი სკოლა. ხალხის ჭეშმარიტი მეგობრები უკვე მხნედ ჩაბმულან ამ საქმეში.

ეს ისეთი უდიდესი საქმეა, რომ რესპუბლიკის ყოველმა ერთგულმა მოქალაქემ ლუკმა უნდა გაინახევროს, რათა იგი საქმე ბრწყინვალედ დაგვირგვინდეს. უმჯობესია ორთვალხილულმა ერთი თვალი გამოითხაროს და მით უსინათლოს ერთი თვალი აუხილოს, ვიდრე ერთი საღი თვალით ვიდოდეს, მეორე ორივე თვალით ბრმად დაბარბაცებდეს.

გამართულია კულტუროსნობის ყაბახი, რესპუბლიკები და მასთან დაბა-სოფლები ჯირითში ჩაებნენ. ამ ჯირითში, ამ ყაბახზე პირველი გამარჯვების რტო ჩვენ—საქართველოს მშრომელმა ხალხმა—უნდა მოვიპოვოთ.

და ეს ასეც იქნება: ჩვენი ხალხის თვითუნარიანობა, თავის თავის გამოჩენის გრძნობა და სიმკვირცხლე სრული თავდებია ამისი.

მაგრამ მარტო წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა არა კმარა,—საჭიროა საზოგადოებრივი თვითშემეცნების განვითარება და ერთგრძნობიარობის შექმნა.

ეს შეუძლიან ხელოვნებას, ხელოვნების ტაძრებს: თეატრს, სახალხო სახლ-კლუბებს და მათში მოთავსებულ ნამდვილ, ხალხის სულიერ მოთხოვნილებასთან შეფარდებულ სათეატრო ხელოვნებასა და მუსიკას.

ეს უნდა იყოს დღიური საკითხი და ჩვენის ქვეყნის ყოველ ცოცხალ ძალას აქეთკენ მოვუწოდებთ.

ჩვენ გვწამს, რომ თუ ამ საქმეს შეგნებით მოვეპყრობით, ამაშიაც გავიმარჯვებთ.

მაშ მხნედ და მამაცად სიბნელისა და საზოგადოებრივ უვიცობის წინაალმდეგ ბრძოლაში:

ერთ ხელში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობი ჩირაღდანი, მეორეში – ხელოვნების წმინდა ლამპარი,—

და მტერი ძლეული იქნება—
ყაბახზე გავიმარჯვებთ!..

# საქმე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს

I.

ბევრჯერ ნათქვამის განმეორება არ არის საჭირო. მაგრამ მოკლეთ-კი უნდა გავიხსენოთ წარსული, რომ შესაფერი დასკვნა გამოვიტანოთ.

თვითმპყრობელობის დროს ჩვენს ხალხს არა ჰქონდა უფლება ესწავლა თავის დედაენაზე. მით უმეტეს მას არ შეეძლო ჰქონოდა საზოგადოებრივ კულტურული განვითარებისათვის საჭირო ორგანიზაცია. არსებულ სკოლებში უპირატესობა თავად-აზნაურთა შვილებს ჰქონდათ მინიჭებული და მშრომელი ხალხის შვილების სწავლა-განათლება საშიშ მოვლენად იყო მიჩნეული.

მთავრობა არა თუ ზრუნავდა ხალხის განათლებისათვის, არა თუ ეხმარებოდა მას ამ საქმეში, პირიქით ცდილობდა ისე მოეწყო საქმე, რომ განათლება არ მისდებოდა ხალხს, მასას, რადგან გაუნათლებელი, ბნელი ხალხი მას მიაჩნდა საუკეთესო მასალად თავისი ბატონობის გასამტკიცებლად.

მაგრამ სახელმწიფოს მართვა გამგეობისათვის მაინც აუცილებელი იყო სწავლული ხალხის მომზადება და, მაშასადამე, საჭირო იყო სკოლებიც.

და რაც უფრო ვითარდებოდა ცხოვრება, ფართოვდებოდა კულტურა ევროპის ცივილიზაციის უშუალო გავლენით, მით უფრო მეტი იყო საჭირო ასეთი ხალხი და მეტი იყო საჭირო სკოლებიც.

სწავლულთა გამრავლება იწვევდა ახალი ორგანიზაციების მოთხოვნილებას, ახალ ურთიერთობას.

ეკონომიური ცხოვრებაც შეიცვალა, გართულდა. და სახელმწიფოს თვითმპყრობელი და მისი მთავრობა შიშით შეჰყურებდნენ ამ მოვლენას, ნათლად გრძნობდნენ, რომ განვითარებული, შეგნებული ხალხი არ მოითმენს მათს ბატონობას..

იმისდა მიუხედავათ, რომ მთავრობა სასტიკად სდევნიდა საზოგადო მოღვაწეთ, რომ შეზღუდული იყო სიტყვის, ბეჭდვის, კრების, აზროვნების თავისუფლება, რომ მწერლობასა და ხელოვნებას სასტიკი ცენზურა აღრჩობდა, მაინც ვრცელდებოდა სწავლა-განათლება სკოლაში, თუ სკოლის გარედ, ლეგალურად თუ არალეგალურად.

ეს იყო მძიმე, შავბნელი დრო, როდესაც ხალხის თავისუფლება რკინის არტახებში იყო შებოჭილი. ამისდა მიუხედავათ, ხალხი მაინც იბრძოდა განათლებისათვის და ღარიბ-ღატაკი გლეხები საცხოვრებელს ანაცვალებდნენ შვილების სწავლა-აღზრდას.

ეს კარგათ უნდა დავიხსომოთ: იყო სიდუხჭირე, მტრობა, დევნა და რბევა სწავლულთა, დედა-ენის აკრძალვა, ციხე და სახრჩობელა თამამი აზროვნებისათვის..

ამავე დროს იყო ხალხის ლტოლვა სწავლისაკენ, კულტურული განვითარებისაკენ, ბრძოლა და თავგანწირვა თავისუფალი სიტყვისა და აზროვნებისათვის...

და თუ მაშინ, ვამბობთ ჩვენ, როდესაც ჩვენს ხალხს სულს უხუთავდნენ და აღრჩობდნენ ყოველ მის მისწრაფებას განათლებისადმი, იგი მაინც თავდაუზოგველად მიდიოდა პროგრესისა და კულტურის გზით, მაშ რაღა დაუშლის მას დღეს განახორციელოს თავისი ზრახვები, როდესაც დიდმა რევოლიუციამ ძირ-ბუდიანად მოანგრია ძველი სახელმწიფო და ძალა უფლება თვით მშრომელი ხალხის ხელშია.

ძალიან შემცდარია, თუ ვინმე ფიქრობს, ვითომ ჩვენს ხალხს ჩინჩინი სჭირდეს—ისწავლეო, თითქოს მას თუ მზრუნველი არ ეყოლა, რომელიც თავზე დაადგება და ძალისძალათ ასწავლის, ისე ხალხი განათლებას არ მიიღებსო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველი ხალხის შესახებ ამის თქმას ვერავინ გაბედავს, რადგან ეს იქნებოდა დიდი შეურაცხყოფა იმ ხალხისა, რომელმაც ეგოდენი მსხვერპლი შესწირა რევოლუციას 20 წლის განმავლობაში და რომელმაც ეგოდენი იბრძოლა თავისუფლებისა და ადამიანის უფლებისათვის.

მაშასადამე, დღეს ის კი არ არის საცილობელი, თუ ვინ რა უნდა მიუტანოს ხალხს, ან ვინ, როგორ და რა საშუალებით და ჯეროს იგი დაუახლოვდეს სწავლა-განათლებას, არამედ ჩვენი მსჯელობის საგანი უნდა იყოს ის, თუ როგორი ორგანიზაცია შექმნას სოფლისა და ქალაქის მშრომელმა ხალხმა, რომ დაიკმაყოფილოს თავისი კულტურული მოთხოვნილებანი და მიაღწიოს ამ სფეროში უმაღლეს წარმატებას.

ამ თვალსაზრისით გვინდა შევეხოთ ჩვენ კულტურულ მუშაობას ჩვენში.

ხალხის განვითარება დამოკიდებულია სკოლასა, მეცნიერებასა და ხელოვნებაზე.

ხალხმა რევოლიუციით მოიპოვა თავისუფლება სწავლისა და მის მიზანს შეადგენს დაწესოს საყოველთაო უფასო სწავლა დედა ენაზე ეს საქმე ხალხმა დაავალა სახელმწიფოს, რომელიც ვალდებულია უახლოეს დროში განახორციელოს იგი.

მაშასადამე, სწავლის მხრივ ხალხი უზრუნველყოფილი იქნება, რადგან არც ერთი ბავშვი სასკოლო ჰასაკისა არ შეიძლება დარჩეს სკოლის გარეშე.

მაგრამ ხალხი დაშორებული იქნება მეცნიერებას და ხელოვნებას, რადგან მათი ტაძრები მხოლოდ დიდ ცენტრებშია უნივერსიტეტების, ინსტიტუტების, კონსერვატორიების, აკადემიების, აკადემიურ თეატრების და მწერლობის სახით.

ამ დაწესებულებების არც გატანა შეიძლება ხალხში, არც დაქუცმაცება.

ამიტომ, აშკარაა, ხალხს ესაჭიროება კიდევ სხვა დაწესებულება, სკოლის გარდა, რომლის საშუალებითაც შეიძლება მიუახლოვდეს მასას მეცნიერება და ხელოვნება.

ადამიანი შეგნებულ, დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს სწორედ მას შემდეგ, როდესაც გამოდის სკოლის ჰასაკიდან.

თუ მას არ ექნება საშუალება ეზიაროს მეცნიერების და ხელოვნების შემოქმედებას და დაიკმაყოფილოს თავისი კულტურული ცნობისმოყვარეობა, თუ ვერ მოახერხა მიიღოს აქტიური მონაწილეობა კულტურულ მუშაობასა და შემოქმედებაში, იგი ჩამორჩება ცხოვრებას, ჩამოქვეითდება და დაამძიმებს პროგრესს, რაც მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის სასურველი არ არის.

საქართველოს დაბა-სოფლებს ფართოდ მოეფინა სკოლა. იმედია უახლოესი წლების განმავლობაში აღარავინ დარჩება სკოლის გარეშ.

მხოლოდ არ არის ის დაწესებულება, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ხალხს სკოლის გარდა...

მაგრამ ამაზე შემდეგ.

**ის. ვარაზაშვილი**

# ენის კულტურისთვის

„ცარიზმის“ დროს როცა ჩვენი მშრომელი ხალხის ეროვნულ-კულტურული განვითარება შეზღუდული იყო, ქართული ენის აკადემიურ შესწავლასაც მწერლები აღარ დასდევდნენ, სწერდნენ ისე, როგორც შეეძლოთ. ამის გამო მეცხრამეტე საუკუნის მწერლობაში ფეხი მოიკიდა მრავალმა სოლეციზმმა, რასაც, სამწუხაროდ, დღესაც გასავალი აქვს. ამ წერილით მსურს აღვნიშნო სოლეციზმის მკვეთრი მაგალითები და თუ მწერალთა ერთ პროცენტს მაინც გაუღვიძე ინტერესი ქართული ენის აკადემიურად შესწავლისა, ნავსი გატყდება და იმ ერთ პროცენტს მეორეც მიემატება.

პირველად შევეხები ზმნის უღვლილების დროს **ჰ**-აეს ხმარების საკითხს, როგორც ქართული ზმნის უმთავრეს ძარღვსა, რომელიც ნათელი აზრისა და კეთილხმოვანების მასულდგმულებელია. ამ მხრით ქართული პალიმფსესტები, რომელიც 5-6 საუკუნის მწერლობის შესანიშნავი ძეგლებია, ძვირფას მასალას იძლევა საკითხის გამოსარკვევად. ძეგლებში **ჰ**—ეს ნაცვლად **ჴ**—ანი იხმარება და რაკი დღეს ცოცხლად დარჩენილა კიდევ სამიოდე ფორმა **ჴარ, ჴვ დი** (მო-ხვედი), **ჴვალ** (მო-ხვალ), უნდა ვიფიქროთ, პრაქტიკაშიაც ყოფილა. მაგრამ ალბად იმავ პრაქტიკულის მოსაზრებით, როცა 10-11 საუკუნეში ზმნის უღვლილების დროს პალიმფსესტური **ჴ**—ანის ხმარების წესი შემოუღიათ, საფუძვლად გამოუყენებიათ არა დასავლური, არამედ აღმოსავლური ენა, ასე რომ **ჴ**—ან სადაც საჭირო არ ყოფილა, სრულიად განუძევებიათ, როგორც ზმნის უღვლილებიდან (**ჴ**იყიდის) ისევე სიტყვის სხვა ნაწილებიდანაც, სადაც შეკრილი ყოფილა (**ჴ** უმჯობეს); სადაც კიდევ მის დატოვებას საჭიროება მოითხოვდა, მის ნაცვლად შემოუღიათ **ჰ**—აე, რომელიც ცხოვლად დაცულია დღესაც აღმოსავლეთში, მდაბიოთა შორისაც კი, ხოლო როცა **ჰ**—აე უნდა მოთავსებულიყო რბილი ხმის წინ, რომლითაც იწყებოდა ზმნის ძირი, მაშინ **ს**—ანად უქცევიათ (**ს**თხოვს), რაც დღევანდელ დღემდე აგრეთვე დაუცავს იმავ აღმოსავლელ მდაბიოს.

ზოგიეროთი მწერალი დაჟინებით სწერს **თქვა, ჩანს** და სხვა ამგვარ ფორმებს, მაშინ—როცა **ჰ**—აე სახელ ნაცვალი ძირი ამათაც უნდა დაერთოს, როგორც ფორმის საწარმოებელი არსებითი ხმა მსგავსად მის წინამოადგილის **ჴ** ანისა, რომელიც ყოველთვის იხმარებოდა, ხოლო რაკი ამ შემთხვევაში **ჰ**—აე წინ უძღვის **თ**—ან და **ჩ**—ინ რბილ ხმებს, უსათუოდ უნდა გამოითქვას **ს**—ანად და ისევე იწერებოდეს (სთქვა, სჩანს). ძველი ნაწერი საბუთი, რომელსაც ტენდენციოზად ემყარება ზოგიერთი მწერალი, არ კმარა, რადგანაც ზმნის ძირის პირველი ხმა იმავ ძველ ხელნაწერებში როგორც **ს**—ან დაურთველი, ისევე **ს**—ან დართულია.

**ჰ**—აეს და **ს**—ანის გმობა ხანდახან უაზრობასაც ჰბადებს აი მაგალითები, რომელიც სხვა და სხვა ნაირად გასაგებია: **ქონია—ჰქონია, ყვავის—ჰყვავის, მ ყო—მიჰყო, მ ქრის—მიჰქრ ს, მიყიდა—მიჰყიდა, კრავს—ჰკრავს, მოკლეს—მოჰკლეს, მიყო ლია—მიჰყოლია, ქმნა ჰქმნა, წერა—სწერა, ცხელა—სცხელა, დაცხა—დასცხა, მიდის—მისდის, მიცემს—მისცემს წევს—სწევს, წმინდა—სწმინდა, მიტირის—მისტირის; წერო—სწერო.**

# ქანბი გულისა

მეოცე გაზაფხულის განთიადისას დაიწყო მათი რომანი.

თხუთმეტმა წელმა განვლო მას შემდეგ და დღეს ძველ ამბად ეჩვენებოდათ იგი...

თხუთმეტი წელია, რაც ერთმანეთს დაშორდნენ.

დრო ჟამისთვის ეს არაფერია...

საუკუნეებისთვის თვალით გაურჩეველი წერტილია...

გულისთვის კი დიდი მანძილია...

მრავალი გრძნობა განიცადეს ცალკ-ცალკე...

იმდენი იავადეს და იალეს, რომ მოილია მათი გულები, ჩაოლხვა...

გახუნდა მათი ახალგაზრდული მშვენება...

თავისსავე თავის კარიკატურებად გადაიქცნენ...

სულიც მოუქვეღლდათ...

პირამიდასავით დაუმძიმდათ... დაუხავსდათ...

დღეს შეხვდენ უცაბედად...

გული აუჩქროლდათ..

შეეალერსნენ...

ნაღვლიანი იყო და ამაჟრჟოლებელი მათი გაცრეცილი სიცილი, როგორც უკანასკნელი გამოკრთომა შემოდგომის ჩამავალ მზისა..

მოაგონდათ გაგრძელება შეწყვეტილი რომანისა...

ქალი აჩვენებს სიყვარულის შენახულ ჟსტარს.

გაყვითლებული ფოთლები..

გაცრიატებული სტრიქონები...

სულ სხვა პირობებში დაიწერა...

უხარიან ვაჟს, რომ ოდესღაც ასეთი მდიდარი გრძნობებით ყოფილა დაუნჯებული...

ასე ძლიერად ჰყვარებია ის ქალი...

ჰკითხულობს ტრფობის სასოებიან ცრემლებით შეპევრებულ სტრიქონებს;

„... შენი თვალები ლურჯად მოტორტმანე ზღვა არის და შიგ ჩაძირულია ხომალდები ლალ-იაგუნდით დატვირთული...

...შენი სული საიდუმლოების ბეჭედით დაკეტილი ფარაონ თუთანხამონის აკლდამაა, რომელიც უჭკნობ-უბერებლად ინახავს მზიურ სულის სილამაზეს...

...შენთან საუბარი მისთვის მწყურიან, რომ შენის ბაგისგან უჭკნობელ ყვავილების ნაკადსავით მოჩხრიალებს ღმერთების სიცილ-სიმღერა..

. . . . . . . .

ასტრები გადმოცვივდენ წერილიდან... ძველი ასტრები...

ყმაწვილმა გაუგზავნა...

თუ დავგმეთ კიდევ **ჰ**—აესთან ერთად აგრეთვე **მ** (მო, მე). რომელიც სემიტური თავსართია და ქართული ენის ბუნების დამახასიათებელი, მაშინაც გაუგებრობით შევამკობთ ჩვენს ნაწერ-ნალაპარაკევს, რადგანაც მრავალია მაგალითი, რომელიც სხვადასხვანაირად გასაგებია: გელი—მგელი, შვიდი მშვიდი, ტილი—მტილი, ღილი—მღილი, დადე—მდადე, ხარი—მხარი, აგარი—მაგარი, შველი—მშველი. ჭერი—მჭერი, ხალი—მხალი, რთველი—მრთველი ძველი ნაწერი საბუთი არც აქ არის საკმარისი, რადგანაც, **ჰ**—აესი არ იყოს, **მ**—ანის ხმარების წესი დარღვეულია პალიმფ'ესტებში ჩსუქანთან ერთად ტრედიც არის ნაცვლად მტრედისა.

ზოგიერთ მწერალს თავიც მოაქვს, რომ ერეკება **ჰ**—აკს და **მ**—ანს, რომელიც ქართული ენის სულისდგმა არის, იმავ დროს-კი ვერ გაურჩევია ერთმანერთში ზმნათა უღვლილების ბრძანებითი (იმპერატივი) და ნამყო სრული დროის ჩვენებითი (ინდიკატივი) სახე, მისთვის მაგ., **მიესალმენ** ერთიც არის და მეორეც. მაშინ როცა, ნამყო სრული დრო იქმნება **მიესალმნენ**, ხოლო **მიესალმენ** არის იგივ **მიესალმე ნ**—არის ბგერით გამოთქმული, რაც ხშირია კლასიკურ მწერლობაში და წარმოადგენს ბრძანებით სახეს. ასევე ნამყო სრული დრო ჰგონიათ ფორმები **წაიღენ, იკითხენ, ემსახურენ ეხვეწენ** მაშინ როცა ბრძანებითი სახეა, ხოლო მათი ნამყო სრული დრო იქმნება **წაიღეს, იკითხეს, ემსახურნენ, ეხვეწნენ.**

არ იცის **ვე** და **ვი** სახელ-ნაცვალ ძირიანი ზმნის უღვლილება დამოკიდებით (კონიუნქტივი) სახედ და მრავლობით რიცხვად, რათგანაც მხოლოობითი რიცხვის ანალოგიას მისდევს მრავლრიცხვად უღვლილების დროსაც, მაგალითად: **ვეცადოთ, ეცადოთ, ეცადონ; ვეხვეწოთ, ეხვეწოთ. ეხვეწონ; დავესწროთ, დაესწროთ. დაესწრონ; ვიყოთ, იყოთ. იყონ,** მაშინ როცა უნდა იყოს **ვეცადნეთ, ეცადნეთ, ეცადნენ, ვეხვეწნეთ, ეხვეწნეთ, ეხვეწნენ, დავესწრნეთ, დაესწრნეთ. დაესწრნენ, ვიყვნეთ, იყვნეთ, იყვნენ,** როგორც ჰლაპარაკობს აღმოსავლეთი.

ვერ გაურთმევია თავი მრავალ რიცხვის ნამყო დროის ჩვენებითი სახის **დეს, ნეს** და აწმყო დროის დამოკიდებითი სახის **დენ, ნენ** ქვესართებისთვის სუფიქსი). პირველის მაგალითია ძველმწერლობაში ფორმები **წარვიდეს, იქვნეს,** ხოლო მეორისა **წარვიდენ, იყვნენ.** პირველი ჰხატავს წასვლის და ყოფის მომხდარ ამბავს, ხოლო მეორე წასვლისა და ყოფის სასურველობას, ე. ი. იმ ამბავს, რომელიც არ მომხდარა, მაგრამ სასურველია მოჰხდეს რა კი ფორმა **წარვიდეს** ჰხატავდა აგრეთვე აწმყო დროის დამოკ. სახის მხოლ რიცხვის მესამე პირსა, ე. ი. წასვლის სასურველობას აღმოსავლეთში ქვესართ **დეს** გამოითქვა **ნ**—არის ბგერით **დნეს**, რასაც შემდეგ **ს**—ანი შეეცვალა **ნ**—არად, ხოლო **იყვნეს** ასეთივე ხმათა ცვლით შეიქმნა **იყვნენ** ამ გვარად გაჩნდა ფორმები **წარვიდნენ** (მდაბ. წავიდნენ) და **იყვნენ.** დასავლური ფორმა **წავიდენ** (ძვ. წარვიდენ) ისევე ორ აზროვანია, როგორც **იყვნენ** აღმოსავლეთში, ხოლო თუ აღმოსავლეთში ნხმარება **წავიდენ,** ასეთი ფორმა ჰხატავს აწმყო დროის პირველ პირს, იმავ დროს შემოქმედებას და სწარმოებს **დენა** ზმნისაგან, ხოლო ფორმები **წარვიდეს წარვიდენ** წარმოებულია **დ** ძირისაგან, რომელსაცა აქვს საშუალო გვარის ზმნის მნიშვნელობა, გამომხატველია მდგომარეობის და არა მოქმედებისა (წარვედი, წარვიდეს). რაც შეეხება **იყვენ** დასავლურ ფორმას, შეუწყნარებლად უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც წარმოებულია უკანონო **ენ** ქვესართის შემწეობით. აღმოსავლური **იყვნენ** უფრო კანონიერი ფორმა არის, რადგანაც წარმოებულია პირვანდელი **იყვნეს** ფორმისაგან **ს**—ანის **ნ**—არად შეცვლით **ნეს** ქვესართის დაუმახინჯებლად.

---

საოცნებო იყო მაშინ მისი ოცნება შევარდისფერებული...

მაინც უყვარდა შემოდგომის ყვავილები...

და ჰხედა ორივემ გაცრეცილ ასტრებს და ჩაიფუფქნენ...

ეს ყვავილები ისევე დამჭკნარიყვნენ, ვით მათი პირველი ტრფობის ოქროს სიზმრები...

ეგონათ წინ ესვენათ მათთვის საყვარელ პატარა არსების გაციებული გვამი და იცოდნენ ვერ გააცოცხლებდნენ ..

შემოდგომისას იყვნენ გადაშლილნი და დასჭკნენ უმზეოდ...

ვერც ძველ ტრფობას აღადგენენ...

მაშინ ბრწყინვალე მომავალი უღელვებდათ გულს...

ოცნების ფერადი ფრთები იწოდებდა სიყვარულის ყვავილოვან ნადიკვრებისკენ ..

მაინც არა ჰქმნ ს...

არ გაეხძაურენ...

რატომ არ გაჰყვნენ იმ თილისმიან ძახილს?

თვითაც არ იციან რატომ ..

ახლა სულ ამაოა ცდა...

ველარ შესძლებენ ქროლას..

ფრთებში აღარა აქვთ ძალა და სილამაზე..

ცხოვრების მწველი კვამლის ხრჩოლვას შეულანძავს, შეუქვარტლია...

. . . . . . .

მ ღლა სართულში ვიღაცამ ააქვითინა შუმან ს პრელიუდიები ..

რას დასტიროდა შუმანი?..

სიგიჟის ნაპრალებში გადაჩეხილს თვისს სულს, თუ მიუღწევლობის ორწოხებში დაკარგულს სიყვარულს...

ვერ გაიგეს... ვერ გაარკვიეს ქალ ვაჟი...

იცოდნენ მხოლოდ:

შუმანის ცრემლოვან ჰანგებში მათი უმურაზოდ დამდნარი სიყვარულიც მოსთქვამდა...

და აქვითინდნენ...

იწყეს თვალების ცეცება თავისი სულის უფსკრულებში, საცა მათი ოცნება მოჩვენებად გადაქცეული დაძრწოდა და აფრიალებდა მწუხარების მანტიას...

უყურებდნენ მას და ეძძებოდათ სული...

ეწიწებოდათ...

ცრემლები ღაპა ღუპით სცვივოდათ...

სიყვარულის ცრემლები ყველაფერსა სწმენდს მტვერს, აქარქარეფს...

მათს სულს მაინც ვერ მოსწმინდა ჟანგი.

მაგრა ჩაჰკვდომოდათ...

დ. თურდოსპირელი

თუ მწერლობაში აღმოსავლური ენა გაბატონებულა, ამ გარემოებისთვის, მრავალ მიზეზს გარდა, ხელი შეუწყვია აგრეთვე იმას, რომ ამ ენას უფრო ხშირად უყვარს აზრისთვის საკუთარი ფორმის გაჩენა და მისი აწინდელი საგრამატიკო ნორმები საოცრად ეთანხმება ასეთსავე ნორმებს კლასიკური ენისას.

პეტრე მირიანიშვილი



ილ. ჩავლეიშვილი

# ორიოდე სიტყვა გურულ სიმღერებზე

მკითხველი დამეთანხმება, რომ დასაბამი მუსიკისა ეკუთვნის იმ ხანას, რომელმაც წარმოშობა ქვეყანაზე პირველყოფილი ადამიანი. სიმღერა-გალობა, რომელსაც დროთა ბრუნვაში მიუღია თანდათანობით განვითარება, ყოველ ეჭვს გარეშეა, პირველყოფილ ადამიანს არ დახვედრია მზამზარეულად არც თეორია, არც ნოტი, არც სხვა რამე მასალა, რომლის საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო გამოგონება და შედგენა რომელიმე მუსიკალური ხმების. ხოლო რაც შეეხება შემდეგ მის განვითარებას, ამაში უმთავრეს როლს თამაშობს კაცობრიობის ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი აუცილებელი მოვლენა. პირველია უბედურება და ჭირი, მეორე - ბედნიერება და ლხინი. სწორედ ასეთ პირობებში იგონებს და ჰქმნის ადამიანი რომელიმე მუსიკალურ ჰანგს და შემდეგ ავარჯიშებს მას ასე უნდა მომხდარიყო წარსულში, ასე უნდა მოხდეს მომავალშიც.

მკითხველმა იცის, თუ პირველყოფილი ადამიანისათვის, რა უბედურებას მოასწავებდა დაღამება, რა ბედნიერების მახარობელი იყო გათენება. ღამის განმავლობაში გაათვრებული მხეცების თავდასხმით ზარდაცემული ოჯახი, როცა იგრძნობდა ალიონის მოახლოვებას, სიხარულით წამოიძახებდა:

**„ჰო დილა, .. დილაო“**

ანუ გათენებამაც მოაღწიაო.

ამ დროს ოჯახის მუდმივი გუშაგი დედაკაცი ეუბნებოდა თავის პატარას იმ მშობლიური ალერსით აღსავსე ნანინას, რომლისგანაც იგულისხმება პირველი სასიმღერო. ხმის ამომღები ქვეყანაზე არის დედაკაცი და არა მამაკაცი, რაც ქართველი ერის ცხოვრებაში დარჩენილია. ამიტომ საზოგადოთ საქართველოში და, კერძოთ, გურიაში უცვლელად ხმარებაშია ეს ორი სიტყვა: „დილა, ჰო დილა ჩანინა“, რომლის ფარგლებს გურული სიმღერები ვერ გადაუხვევს.

სამაგიეროდ დღეს გვესმის ისეთი დამახინჯებული ხმები, რომლის მოსმენით სიამოვნების ნაცვლად უსიამოვნებას ვგრძნობთ და გვეკარგება ხალისი მამა-პაპური სიმღერის მოსმენის. ამას ჩადის ზოგი მასწავლებელიც. აკვირდები და ვერ წარმოგვიდგენია საიდან გადმოიღეს

# თარის ხმაზედ

ჩუმად მიიბინდა გაზაფხულის საღამო.

უკვე ღამდება. ვარსკვლავები ნელის ციმციმით ხდებიან ცაზე და გაფითრებული, ფერმკრთალი მთვარეც ზანტად მობობღავს გორის იქიდან.

მუშტაიდიდან მიკიოტის ცივი ყვირილი ისმის და მტკვარიც შორიდან გაუგებრად ჰბუტბუტებს და ჰხმაურობს.

გაზაფხულის სურნელება და სითბო იდუმალად ეალერსება ჩემს გულს და ოცნებაც გატაცებით მიჰქრის შემოღამების ლანდებთან.

აივანზე ვზივარ და გადავყურებ ყრუდ მიდუდუნე ქალაქს. ჩემს წინ, ეზოს პატარა ბაღში, ორი ტანწვრილი კვიპაროსი ჩუმად ჩურჩულებენ შორეულ, ვნებიან ზღაპარს და ნელა არხევენ მაღალ კენწეროებს.

თვალი მიშტერდება... გარინდებას ვეძლევი და შორიდანაც თარის ხმა მესმის...

. . . . . . . . . .

— აღმოსავლური აღფრთოვანებით და ვნებიანის ჟღერით ლიკლიკებს თარი და გულიც ჰღელავს უცნაურის ნდომებით, უცნაურის აჩქროლებით. ოცნება მიჰქრის საზღაპრო სპარსეთისაკენ.. მელანდებიან ბრაზიანი, ვნებათა ღელვით ალგზნებული შაჰები, წარსული ისტორია ჩვენის ერისა და შორეული და სისხლით აღმოსავლეთი ყალიონებით, აჭრელებულ ხალიჩებითა და ოქრომკედით მოქარგული კარავებით ჩუმად სდგებიან ჩემს თვალებ წინ დაღამების წყვდიადში მაგონდება კახეთისა და ქართლის მრავალი აწიოკება... მელანდება ჯალალ-ედინი, ნადირშაჰი, თემურ-ლენგი, შაჰ-აბაზი, აღამაჰმად ხანი... მეჩვენება ასპინძა, მარაბდა, კრწანისი... თითქოს მესმის ბუკის შემზარავი ხმა და ხელჩართულ ბრძოლის ჟივილი, ადუღებული „მკერდ გაქაფულ ცხენების ჭიავინით“ მესმის აწიოკება-აკლების ჟრიამული და ქალების შემზარავი კივილი,.. მეჩვენება გაოხრებული, დანგრეული ტფილისი.., ვხედავ როგორ გარბის ველად ცხლოვან თმებით შემოსილი, დაკარგული პატარა კახი, ვხედავ ქართველ ხალხს ქედმოხრილს, ქედ მოდრეკილს და ნაღვლიანად თავჩაქინდრულს...

უპატრონო, შეწუხებული, სასოწარკვეთილი, სდგას ქართველი ხალხი-შეჯგუფებული უმწეო ცხვრის ფარასავით და მის სიღრმიდან ვიღაც მოხუცი, ყავარჯენზედ ორისავე ხელით დაყრდნობილი რაღაცას ჩაჩურჩულებს გარინდებული... და... მესმის მისი სევდიანი ოხვრა...

. . . . . . . . . .

თარი-კი ისევ ლიკლიკებს და ბევრი, ბევრი სხვა

ეს მახინჯი ხმები. რას არ გაიგონებ დღეს: ხალისი, ხახანისტი, ხანანისტი, ია უა, ტულუტული და სხ. პატივისცემის ღირსია ყველა ის ახალგაზრდა, რომელიც კულტურულ შემეცნებასთან ერთად სცდილობს ეროვნული სიმღერების შესწავლასაც. მაგრამ სამწუხაროა ზოგი მათგანის მოქმედება, რომელნიც სცილობენ სიმღერებს „კუთხური" ხისიათი მისცენ და რაღაცებს აკერებენ სიმღერებზე. რასაც უწოდებენ სიმღერის გადაბრუნებას. მათ მიერ გადაბრუნებულ სიმღერას ველარავინ დააყენებს სასურველ ნიადაგზე. ავიწყდებათ, რომ სიმღერებში იხატება გურულთა შეურყეველი, იმედით აღფრთოვანებული უკვდავი სულისკვეთება, რაც შეფარდებულია ერის ფხიზელ გონებასთან.

თუ რა ძვირია ერისათვის თავისებური მუსიკა, ამას დააფასებს გონებით მაღალი ადამიანი.

ვისაც სურს მუსიკაზე ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს, იგი უნდა გაეცნოს წარსული საუკუნის მოღვაწეობას, როგორიც იყვნენ 18 საუკ. მგალობელი, ანთაძე, ივანე და მერაბ ცქიტიშვილები, 19 საუკ. მუსიკის საუკეთესო მცოდნე ანტონ დუმბაძე, დათა და სიმონ გუგუნავა, ყარამან და კოსტანტინე თავდკირიძეები და სხ., რომელთა დიადმა ნიჭმა შეგვინახა და გადმოგვცა წმინდათ წინაპართაგან ნაანდერძევი მუსიკა. აგრეთვე გადაიკითხოს საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორია პ. იოსელიანისა (მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის გვ. 143, 144) და მაშინ დარწმუნდება, თუ რა არის ეროვნული მუსიკა დროა თვით მუსიკის პატრონმა ერმა გაუწიოს ანგარიში ასეთ არა სასურველ მოვლენას.

ხალხური მომღერალი ილარიონ ჩავლეიშვილი.

# ჩემი თავგადასავალი

მოგონებები

2 *)

დავიბადე გორის მაზრის სოფ. დირბს, ფრონის ხეობაზე, მაშინდელი მღვდლის მოწმობით, 1851 წ. ივლისის 1-სა, ხოლო ვინაიდან ეს მღვდლის ამოწერილობა სრულიადაც არ აღმოსჩნდა საქართველოს სასინოდო კანტორის მეტრიკებში, დაინიშნა გამოძიება 1872 წ. ზაფხულში პაპი-ჩემის სვიმონის დავითნზე აღმოსჩნდა მისი ხელით წარწერა, რომ მას დაებადა შვილის-შვილი სოფრომ 20 მკათათვეს (ივლისს) 1851 წ. (ჩვნა წ. კ მკათათვე). ამის თანახმად გამოძიებით მომცა კანტორამ მეტრიკული მოწმობა, რომელიც საჭირო იყო წარსადგენად კურსის გათავების დროს სემინარიაში.

მამა-ჩემს ზაქარიას პირველი ხარისხით ჰქონდა გათავებული ტფ. სასულიერო სემენარია. ოცდაათიან წლების გასულს და ორმოციან წლების დასაწყისში იგი ყოფილა რამდენიმე წელიწადი მასწავლებლად გორის სასულიერო სასწავლებელში. იმ დროის მიხედვით კულტურული პიროვნება იყო. უყვარდა წიგნების კითხვა. შემდეგ იმის გარდაცვალებისა (1863 წ. აპრილში), იმის წიგნებში აღმოჩნდა რვეულები — ხელთნაწერი „ქართლის ცხოვრებისა", ბესიკის, ალ. ჭავჭავაძის ლექსებისა, ნაწერი თვით მამი-ჩემის ხელით, იგი შესანიშნავი ქართული კალიგრაფი იყო. ალბად სემენარიაში ყოფნის დროს თუ გადიწერა ესენი; ამის გარდა სახლში გვქონდა „ვეფხის ტყაოსანი", ძველი დასურათებული ხელთნაწერი, «დავითიანი» — ესეც ხელთნაწერი. დ. ჩუბინიშვილის ქრისტომატია. „სიბრძნე-სიცრუის წიგნი" და რამდენიმე ნომერი „ცისკარისა". მამა ჩემი ხასიათიანი კაცი იყო: მტკიცე ნიტყვისა, გამბედავი, პირუთვნელი, ამასთან რუსულ-ქარ-

*) გაგრძელება იხ. „თ. და ცხ." № 13 (16).

სურათი მელანდება თვალ წინ... ნელის, ზლაზვნიანი ნაბიჯით მიემართებიან ჩემ წინ დატვირთული აქლემების გრძელი ქარავანები... ვხედავ როგორ ათევს ღამეს მდიდარი სოვდაგარი ყავისფერ უდაბნოში... ვხედავ ღამეში სადარაჯო ცეცხლებს — მისმის სპარსული სიმღერის ნაღვლიანი ღიღინი და გრძნეულებით სავსე მომჯადოებელი ზღაპრები... ვხედავ საცოდავ, გატიალებულ სომხეთს და თარის ხმაზედ ამ ქვეყნის სევდიანი ზუზუნიც მესმის...

გუგა ნარვილი

# ლეგენდა

იესო ქრისტეს მოვლინებამ თითქოს შეაჩერა ჟამთა სრბოლა და ყველას აგრძნობინა, რომ წელთ-აღრიცხვა აქედან უნდა დაეწყოთ. მას შემდეგ ორი ათასი წელი გავიდა. მისი სახელი კი უკვდავად გადადიოდა თაობიდან თაობაში, საუკუნიდან საუკუნეში...

და ქადაგებდა იგი:

„გიყვარდესთ მოყვასი თქვენი, ვითარცა თავი თქვენი", „მოვედით ტვირთმძიმენო და მაშვრალნო" და სხ.

გარნა ღაღადისი იგი დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

მაგრამ აი მეოცე საუკუნეში მოვიდა კაცი, რომელსაც კაცობრიობის გასაბედნიერებლად ახალი გზები გამოეგონა: არა ხვეწნითა და მუდარით მოდიოდა ის, არამედ ჩაქუჩითა და ნალმებით.

უნდა დაინგრეს ძველი, დახავსებული სამყარო, უნდა დაინგრეს ძირ ბუდიანად, რომ აშენდეს ახალი ცხოვრება, შრომის სამეფო...

და მან პირველმა დაარტყა უზარმაზარი ჩაქუჩი ძველ სამყაროს და გაბზარა იგი.

გაჩაღდა ომი: იყო დრტვინვა და გამოურკვევლობა, იგი კი თვით დაჯერებით, მტკიცე ნებით ამბობდა:

— ჩვენ გავიმარჯვებთ უსათუოდ, აუცილებლად!

და აჰა, აღსრულდა: ტვირთმძიმენი და მაშვრალნი დაეპატრონენ ქვეყნიერების მეექვსედ ნაწილს და იქ, სადაც შავი კაცუნები შავ საქმეებს აკეთებდნენ: სჭედდნენ ბორკილებს, ასხამდნენ ტყვიებს მშრომელთა დასამონებლად, იქ წითელი დროშა აფრიალდა და ორთავიანი არწივი შრომის სუფევის სიმბოლომ — ნამგალმა და ჩაქუჩმა შესცვალა. ამ ქვეყანაში შრომა ყველასათვის სავალდებულო შეიქნა. და ამ შრომის სამეფოს მესაჭედ მისი კალატოზი გამოცხადდა:

ეს იყო მეოცე საუკუნის უდიდესი პიროვნება ლენინი.

ის დაუცხრომლად სჭედა და მოუწოდებდა ყველა

თული კალამიც ფხიანი ჰქონდა. მაშინდელი მაზრის მთავრობა ანგარიშს უწევდა. ორმოცდაათიან-სამოციან წლებში გარდაცვალებამდე იგი მთავარ ხუცესად იყო დანიშნული (ბლაღოჩინად). იმას მთავარ სახუცესოში არც ერთი საქმე არ გაირჩეოდა მდივანბეგებისაგან მამიჩემის დაუკითხავად.

მახსოვს, ვიქნებოდი ესე შვიდი წლისა, ჯერ სკოლაში არ ვიყავ, მამა ჩემთან ჩამოხტა დიამბეგი იასე რამანიჩ ფავლენიშვილი, თავისი ამალით. დიამბეგი ძალიან ბრგე და ლაზათიანი შეხედულობის კაცი იყო. მამა ჩემს ენათე ავებოდა; ძალიან მრისხანე კაცი იყო, ამასთან ხელღონიერი, იმისი შემოკრული სილა კაცს თურმე გაბნედდაო.

მამა ჩემს თურმე უთხრა, რომ თქვენებურ მამასახლისს მაჭარაშვილს და თავკაცებს დავით არჩვაძეს და შიო გოგოლაძეს ბოროტება ჩაუდენიათ ფოსტის ფულის გაწერის დროსაო*). მაგათ აბულაშვილი, ღარიბი გლეხის ოჯახი, ნახევარ ლიტრის შემძლებლად ჩაუწერიათ და ხარჯი ისე გადაუხდევინებიათ. ამისთანა ბოროტების მოსასპობად მე ეგ თავი კაცები უნდა **დავროზგოვო**.

— ჯერ მე გამროზგეთ და მერე ეგ სოფლის თავი კაცები, ეგენი ნამდვილი სოფლის მამებია, უთხრა თურმე მამა-ჩემმა. სოფელი მაგათ დიდს პატივსა სცემს, მაგათგან ვისიმე დაჩაგვრა წარმოუდგენელია; მე, როგორც სოფლის მოძღვარი, კარგად ვიცნობ მაგათი. ეგენი რომ დაიროზგოთ, სოფელი არ დაგიმადლებთ და ხალხში დრტვინვა ჩამოვარდებაო. აბულაშვილის ოჯახში ოთხი ძმა ტრიალებს, აქვთ კარგად დამუშავებული ვენახი ნახნავი ბლომად. დირბში დღეს-ხვალ მაგათ აღარავინ დაემჯობინება შეძლებით; მარტოხელა ოჯახები არიან მხოლოდ ჩარექიან შეძლების სიაში ჩაწერილნიც, გაბრიელი მაჭარაშვილი, ჩვენი მამასახლისი, ერთად ერთი კაცია, რომელმაც მთელ ფრონის ხეობაზე იცის წერა-კითხვა; თვით ხელობით ჭონია, სოფელში გაავრცელა ეს ხელობა, გააჩინა საფეიქრო, საქაშეთში დავით დიასამიძესთან გზავნის ახალგაზრდა გლეხებს აბრეშუმის საქმის შესასწავლად. (ამ მაჭარაშვილზე „წარსულიდგან“-ში საკუთარი მოთხრობა მაქვს ამ სათაურით „მგელ ბაბია“).

მდივანბეგმა გაუგონა მამა ჩემს, დაწვრილებით გამოიძია და აბულაშვილის ძმები დამნაშავენი აღმოჩნდნენ.

— მაშ ამათ დავროზგავ, ამისი წინააღმდეგი ხომ არ იქნები, ჩაეკითხა მდივანბეგი.

— ბოროტებას სასჯელი ეკუთვნის.

ოთხი ძმანი აბულაშვილები ჩვენ სახლის წინ დაროზგეს.

სოფ. მგალობლიშვილი

*) სახულმწიფო ხარჯებს მაშინდელ დროში ჩვენი გლეხობა ეძახდა „ფოსტის ფულსა“.

# სპარსული მწერლობა

## ომარ ხაიამ (1040—1123)

1

მე სიჭაბუკის ჰაერით ვსუნთქავ
და ისე ვბრწყინავ ვით ტიულპანი,
სავსე მაქვს ვნებით და სიხარულით
გუნდის ხესავით აყრილი ტანი.

2

მაგრამ ვინც ცეცხლით დამაჯილდოვა,
ვაი რომ იგი არავინ იცის,
რისთვის შემამკო ასე ლამაზათ
და დასალპობათ გამხადა მიწის.

ამ. ჭელიძე

დაჩაგრულის ბრძოლისაკენ, ის დაუცხრომლად სჭედდა ახალ ცხოვრებას.

ცხელი აფრიკის დამონებულ-დაბეჩავებული შავკანიანი ხალხი კი მის შესახებ ასეთ ლეგენდას ჰქმნიდა:

„შორს... შორს... ჩრდილოეთში, სადაც მთები და მინდორ-ველები თითქმის ყოველთვის გათეთრებულია თოვლით, სადაც სიცივე ჰკრავს ზღვებს და მდინარეებს, აჩერებს სიცოცხლეს, აოხრებს ტყეებს და ჭალებს, აიძულებს მგალობელ ფრინველთ გადაფრინდენ შორეულ მხარეებში და აქცევს ხეცებს სამხრეთისაკენ, იქ, სადაც ადამიანი არ აქრობს თავის კერას არც დღისით, არც ღამით, რათა იხსნას თავისი თავი მძაფრი ქარის ყინულოვან სუნთქვისაგან, სადაც ხალხი ილუპებოდა სამუშაოსა, შრომისა და ძალადობისაგან,—იქ დაიბადა ახალი კაცი.

მისი სული სწუხდა არა მარტო თავის ხალხის მწუხარებასა და უბედურებაზე, არამედ ყველა ერის, რამეთუ ყველა მათ ის ძმებად სთვლიდა.

მთელი სიცოცხლე შესწირა ხალხის უბედურების მიზეზთა გაგებას, და, ბოლოს, ყველაფერი მისთვის ნათელი შეიქნა: მან შეხედა მწუხარე სახით მზეს და მზემ გაუღიმა მას.. და ის წავიდა, შეერია ხალხს... დაიწყო სვლა ქვეყნად ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და იქ, სადაც ის მიდის ყველაფერი განსულდდება ახალი ცხოვრებით: გაზაფხული სცვლის ზამთარს, ყინულოვანი ფენები დნებიან, თოვლი ტოვებს მიწას და მის ფერხთა ქვეშ იშლებიან და ჰყვავიან მშვენიერი კეთილსურნელოვანი ყვავილები და გზად ეფინებიან ფართო ფოთლოვანი ზამბახები.

ყველა დაბეჩავებული, ყველა განაწამები ყველა განწირული, ყველა გაპარტახებული, ყველა დამონებული მიჰყვება მას, გრძნობს რა ახალ სუთქვას მომავალი ახალი, მხიარული სიცოცხლისა, გრძნობენ რა ახალ თავისუფლებას და ახალი ბრძოლის დაუშრეტელ წყურვილს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც იმონავებს ადამიანს...

და განაწამები ხალხი აღმოსავლეთისა და შორეული სამხრეთისა მოელის ახალ განმანთავისუფლებელს თავის მშობლიურ მხარეში შორეული ჩრდილოეთის მხრიდან, საიდანაც უკვე მოაღწია იმედის სხივმა, რომელმაც აანთო მათი მართოლვარე გულები“...

ა. ბუნებიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პაპლაყურა და ელთერო

(ღმერთების პანთეონიდან)

1.

ბანჯგვლიანის ცხენის ფეხით
პაპლაყურა მობაჯბაჯებს;
კისერი აქვს მხრების სისქე,
ქშინავს, ძლივს სდგავს მსუქანს
ლაჯებს.
სქლად ბალანი ტანს უფარავს.
სადღაც ხილი მოუპარავს.
აბრიალებს კატის თვალებს,
ხელს გადაჰხვევს ვნებით მთვრალებს
ათამაშებს ტყეში ქალებს.
სალამურსაც თვითონ უკრავს.
ერთს ლეჩაქი დაუხია,
ეხლა წელზე შემოუკრავს.
ორი ღღეა დაქეიფობს,
მაგრამ მაინც არ ამთქნარებს.
ნდობით ტუჩებს აცმაცუნებს.
მწვეტი წვერით დაცანცარებს.
ერთხელ ნახულს დაიწუნებს,
სხვა მეორეს შეაცთუნებს.

2.

ვერა ჰნახავ მას კმაყოფილს,
ან მოკაზმულს, ან შემკობილს!
ეხლაც დადის და ვის ეძებს?
ვის შეუკრავს სავალ გეზებს?
განრისხდეს, თუ მოეფეროს?
ტირიფის ქვეშ ელოდება:
ტყის მიონას—ქალს ელთეროს!
მდინარესთან მიახლოვდა,
სუნთქვით მკერდი აუჩქროლდა.
იქ მას დაჰხვდნენ სულ სხვა რქლები.
გაუცინეს, დაედევნენ;
„მაგარია შენი ძვლები"...
და თავთავის მხარეს სწევდნენ.
გულ-მკერდი აქვს პაპლაყურას
მჭრელი, როგორც ცულის პირი;
ზოგს ეჯახა, შეაშინა,
ზოგიც გასხლტა ანატირი.
ძალით მაინც მას აკოცეს,
ჟინის გზნებით გააოცეს.

ტყის ბანჯგვლიანს სულ სხვა უნდა,
მრავალიც რომ გადიმტეროს;
თუ კი ნატვრა აუსრულდა
და შემოხვდა ცელქს ელთეროს,
არ გაუშვებს მას აღარსად
ხელს შეუკრავს მისივ თმებით;
გარდააქცევს თავის არსად,
შეაყვარებს თავსა ვნებით!

3.

და შეასწრო უცბად თვალი:
წყაროს პირად იჯდა ქალი
და მის გვერდით სხვა ტყის კაცი
რქებიანი, როგორც ვაცი.
ფეხაკრეფით მიეპარათ
და მეტოქეს უთხრა წყნარათ:
„ანუ დ სთმე შენის ნებით,
ანუ ეხლავ გამიმკვლავდი!"
დაეტაკნენ ორნი რქებით!
— შენისთანას ტყვედ შევკრავდი!
— შენისთანას ერთს წუთს ვკლავდი!
პაპლაყურა დაეჯახა,
მკერდი ჰკრა და მოგვერდული;
წუთში მტერი დაბლა დასცა,
რქით ნაწლევებ-გაფათრული.
მსხვერპლს დაჰხედა მფეთქავ გულზე
და ელთეროს ხელი სტაცა;
შემოისვა მაგარს ზურგზე,
მუხის ტყისკენ გაიტაცა!

4.

პაპლაყურა ტლინკავს სტვირზე,
ელთეროსაც ათამაშებს;
მაჯლაჯუნა დოლის ნაცვლად
უბრახუნებს მსუქანს ფაშვებს.
ჯმუხს ბაბაყულს ასლოკინებს
და ჩამოსდის დორბლი ლაშებს.
ვიღაც მკვეთრად წივის, კივის
მით ამხნევებს ქაჯთა დასებს.
კუდიანი აღარ აცლით,
დადის და თან აწვდით თასებს.
ჩხინკა მეტად ჭირვეულობს,
ყბედობს, ხელებს ასავსავებს.
ბაიყუშმა გაიცინა,—
ნეტა თუ რას მოასწავებს?
ის უთუოდ ვისმეს ნავსავს
და ფიალას ბოლმით ავსებს!
ერთი ჭინკა პირქვე ბღუნავს,
ილმანჭება, პირს ასაქმებს.
პაპლაყურა ისევ ტლინკავს,
ელთეროსაც ათამაშებს;
მერამდენე ღამეს სტეხავს?
მთვარე ღრეჭით დაჰკაშკაშებს!?

5.

ერთი ფხიზლობს და არ ღრეობს.
განგებ დახტის, განგებ ანცობს;
გულში რაღაც განზრახვა აქვს
და განზრახვას არვის აცნობს.
ბაიყუშმა იქნებ იგრძნო,
ნეფიონის ლხენა არ სწამს?
და იმიტომ გაიცინა
და სიცილით ყველას ნავსავს!?
დაიქახცნენ ამდენ როკვით.
ზოგი ძილის ქადებს აცხობს;
მასპინძელიც სადღაც მიწვა...
უცნობი კი გეგმებს აწყობს.
მეორე დღეს ისევ სძინავთ,
პაპლაყურას ხელს ვინ ახლებს?
მას ელთერო გაჰპარვოდა,
ლხინი ვეღარ განაახლეს.
და მას აქეთ ისევ ეძებს,
დაბარბაცებს კლდეს და ღრეში.
ველარ შეხვდა ის ელთეროს
ვერც წყლის პირად და ვერც ტყეში!

**სანდრო შანშიაშვილი**

# შემოდგომის ფერია

(უძღვნი სულიკო ოთხმეზურს)

ზაფხულის ცეცხლოვანი მზის სხივებით ამწვანებულ სამყაროს ფერი ეცვალა...

შეყვითლებულმა ფოთლებმა უკანასკნელად ამოისუნთქეს და სამუდამოდ მოსწყდნენ სასიცოცხლო ნექტარს...

უსაზღვრო ცის ცრემლთა დენამ დამწუხრებული გული უფრო დაასევდიანა...

არ მიყვარს შემოდგომა, როცა ბუნება სამგლოვიაროდ ემზადება...

ჩემი სული ყოველთვის მოუსვენარია, მაგრამ ნერვების დაჭიმვას შემოდგომაზე უფრო მეტი სიძლიერით ვგრძნობ ხოლმე...

და...

როცა ზაფხული ეთხოვება უმწიკვლო სილამაზეს, როცა ყვავილთა სურნელებას შემზარავი Nordi ანიავებს, ჩემი პროფილი სხვაგან მეწევა...

ასე იყო 1923 წელშიც..

ზამთრის სუსხიან ღამეების მოლოდინში შავ-ზღვას ვეწვიე...

დავალება შევასრულე...

გადავეცი კასპიის ზღვის სალამი...

და...

პირველად ვიხილე ზღვის ფერია ჩემს სიცოცხლეში...

პირველად ვიგრძენი სიყვარული თავისი მშვენებით...

პირველად დავიწვი პოეტური ცეცხლით.

მარტო შევიჭერ წითელი იალქნით ზღვის ნაცრისფერ ზვირთებში, რომ დაუსრულებლივ მენავარდა ტალღათა კოცონზე და დავმტკბარიყავი ფერიების ცქერით...

მისი წაბლისფერი ხშირი თმა, რომლის ნაწნავებზე ალისფერ მზეს შვიდფერა ცისარტყელა აექარგა და მარმარილოს მკერდზე ამონახეთქი ვარდის ორი ობოლი კუკური, ანდამატური სიძლიერით მიზიდავდა...

ასრულდა...

ზღვია ფერია ჩემი შეიქნა...

და...

შავი ზღვიდან ერთ ნაცრისფერ ღამეში ჩემი ფერია კასპიის ზღვის პირას დავასახლე...

მის შემდეგ შემოდგომა მიყვარს ისე, როგორც ცეცხლიანი ზაფხული...

**შალვა გომართელი**

## ქ ა ლ ს

ხან სატანა სარ, ხან კი მადონა,
მაგრამ ყოველთვის მშვენებით სრული...
ნეტა შენს ფიქრში მე ჩამაკონა,
რომ გამოვიცნო ეგ შენი სული!..
სფინქსს სამუდამოდ გადაესარქე.
მონა ხარ თითქო, მაგრამ თავნება...
ახ, ნეტა ენა ჰქონოდა სარკეს,
შენს საიდუმლოს გამიმჟღავნებდა!..

ვ. რუხაძე

## შემოდგომა ტფილისში

ტფილისმა მხრები შემოინისლა,
შემოინისლა საშემოდგომოდ;
ქარვის ფოთლებმაც დაიწყეს ძირს შლა,
მეც მათ შორის სვლა მიმძიმს უზომოდ,
მიმძიმს ვეღ ვიტან უმზეო წვიმებს,
ვერ ვიტან, ვერა ბაღების ჰკნობას;
და ჩემი ჩანგის დანესტილ სიმებს
ცრემლებად ვაქსოვ გულსა და გრძნობას.

გ. ქუჩიშვილი



ალ. წუწუნავა

„წითელი თეატრი-“ ს და „ქართული დრამის“ ამხანაგობის დასის რეჟისორი.

## ი უ დ ე ე ლ ი

თეთრ-ცისფერ ცაზე გაფრენა მინდა,
იქ სიცოცხლე და ცრემლის ღვარია,
ადამიანმა ხმა გაიკმინდა,
იგი დამუნჯდა და საზღვარია.

სიტყვა ცოცხალი მალე ნელდება,
სიტყვა ნაღვლი დარჩა ისეთი,
ხელის განძრევა გაუძნელდება,
აშორივსება მთლად სანისლეთი.

უცხოა მისთვის თავის შექება,
გაირინდება ვით ტყის ნაფოტი,
მაგრამ სჩვევია მას აფეთქება,
შემდეგ წამება და ეშაფოტი.

მთელი მსოფლიო სურს გაახუროს
ტვინის წამებით და მიფერებით,
ამ იუდეელს ესვრიან ფუროს,
რომ შეიმოსოს ათას ფერებით.

მაგრამ სიკაფე მისი ხვედრია
და სიამაყე დაიკოცნება,
ბევრი სიძნელე მას შეხვედრია
და შეუნახავს თეთრი ოცნება.

გერცელ ბააზოვი



ალ. ყაზბეგი

ნახატი ძმ. ვლ. და გრ. ჯაფარიძეთა.

# რა არის ცეკვა ან რა მნიშვნელობა აქვს*)

## შესავალი

ცეკვა ხელოვნების ისეთივე დარგია როგორიც პოეზია, მხატვრობა, მუსიკა და სხ. როგორც მხატვრობაში ანუ ხელოვნების სხვა დარგში გამოითქმის ესა თუ ის აზრი, საგრძნობელი შინაარსი, ისევე ცეკვაში კარგი მოცეკვავისაგან ცოცხლად გამოიხატება ბევრი ლამაზი შინაარსი, რომელიც მოგვაგონებს ისტორიულ წარსულს— ერის სიმხნე მამაცობასა თუ სიდუხჭირეს. თუ ერს აქვს სიმღერა, მასთან აქვს ცეკვაც,—ვერ წარმომიდგენია, ერი არსებობდეს და მას თავისებური სიმღერა და ცეკვა არა ჰქონდეს. თუ დავაკვირდებით ყველა ერის სახასიეთო, ეროვნულ ცეკვას, დავინახავთ, რომ სათაური ამ ცეკვისა ერთია: როგორც მდინარე სათავეში, შემდეგ გაიყოფა, რამდენიმე მკლავათ და ზოგი ჩანჩქარით ჩარბის, ზოგი კი მდორედ. ეს ადგილსა და მის მიდამოებზეა დამოკიდებული. თვითეულ ერს აქვს თავის ხასიეთისა და ზნე ჩვეულების შესაფერისი ცეკვა: თუ ერი ხასიათით დინჯია, ცეკვაც წყნარი აქვს, თუ ფიცხი—ცეკვაც ასეთივე.

## საიდან წარმოსდგა ცეკვა?

საბა სულხან ორბელიანის სიტყვით, ცეკვა წარმოსდგება ფუნდრუკისაგან. რა არის ფუნდრუკი ანუ კუნტრუში? 12—18 წლიან ახალგაზდას მოულო ნელათ რომ ახარებთ რამეს, იგი უსათუოდ ჯერ ტაშს შემოჰკრავს, შემდეგ კუნტრუშს შეჰქნის. ეს ფუნდრუკი ადამიანმა თავის განვითარებასთან ერთად შეჰკმაზა, ხელისა და ფეხის რთვა შენასკვა; რამდენიც დრო გადიოდა, უფრო შელამაზდა. ხშირად უფროსები აქეზებდნენ ახალგაზრდობას, რადგანაც ამ დარგში ზნეობის საწინაალმდეგოს ვერას ჰპოვებდენ, და ასეთის წაქეზებით ცეკვა უფრო და უფრო ლამაზდებოდა.

## რა მნიშვნელობა აქვს ცეკვას?

ადამიანის ცხოვრებისათვის ცეკვა რო მავნებელი ყოფილიყო, დღევანდლამდე ვერ მიაღწევდა. ცეკვას დიდი სარგებლობა მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის: შეჰხედეთ, თუ მათში ნახავთ ფეხ მრუდეს, სხეულით მახინჯს. მოცეკვავეს მუხლი მაგარი აქვს და ხანგრძლივი სიარული შეუძლიან. მოცეკვავის სიარული, კაცია თუ ქალი, მოსაწონია: აქვს სწორი და წყობითი ნაბიჯი, ფეხ-რთული სვლა.

ცეკვა ფიზიკური სავარჯიშოა და სხვა სავარჯიშოებს არ დაუვარდება. ექიმები ძლიერ ხელს უწყობდენ და უწყობენ ბავშვებს ცეკვაში, რადგანაც ცეკვის დროს ხანგრძლივი სუნთქვა მთელი სხეულის მოძრაობასთან ერთად ფილტვებს ამოძრავებს, ჯანმრთელობისათვის დიდათ სასარგებლოა.

## ცეკვის სილამაზე და მისი შეფასება

ქართული და, საერთოდ, კავკასიური ეროვნული ცეკვა იმდენად ლამაზია, რომ უცხო ერთაგანაც დიდათ არის შეფასებული. 1895 წელს მე, როგორც მოცეკვავე, რამდენიმე ამხანაგით გამიწვიეს პარიზს გამოფენაზე. საფრანგეთში აუწერელის სიამოვნებით შეეგებნენ ჩვენს ცეკვას. სხვათა შორის, ჩვენი ყოფნის დროს იქ დაგვხვდა ქართულ ლიტერატურაში ყველასათვის ნაცნობი ფრანგი მურიე, რომელიც პარიზში იმ დროს რომელიღაც გაზეთში თანამშრომლობდა და ჩვენი მისვლა გაიგო თუ არა, გვინახულა და ჩვენი ცეკვის შესახებ გაზეთში წერა დაიწყო. მას სხვებიც გამოეხმაურნენ და ფრანგულ გაზეთებში მხოლოდ ჩვენი ცეკვის ქება ისმოდა, როგორც ერთი ულამაზესი ცეკვის.

მახსოვს მეორე შემთხვევაც. ამ ოციოდე წლის წინეთ ტფილისში ქართველ მწერლებს ეწვია რუსეთის 4 დიდი ხელოვან მწერალი: მაქსიმ გორკი, ანტონ ჩეხოვი, მხატვარი ვასნეცოვი, მეოთხეს გვარი არ მახსოვს. ამ სტუმრებს ქართველმა მწერლებმა ვერის ბაღში სადილი გაუმართეს და, სხვათა შორის, მეც ვიყავი მიწვეული როგორც მოცეკვავე. შუა ნადიმობის დროს გვთხოვეს, რომ გვეცეკვა. ნადიმზე იყვნენ ქართველი ქალებიც. ვიცეკვეთ. გამოვიწვიე ჯერ ერთი, მერე მეორე. ბევჯერ გაგვამეორებინეს, რადგანაც სტუმრებს ძლიერ მოეწონათ. გაიმართა ხანგრძლივი კამათი ჩვენი ცეკვის შესახებ. მახსოვს გორკის სიტყვა, ალო ჭიქა ხელში და სთქვა: «Пью за здоровье того народа, который создал себе такой прекрасный танец». მას შემდეგ მხატვარმა ვასნეცოვმა დიდი ქება შეასხა ჩვენს ცეკვას და, სხვათა შორის, სთქვა: მიუხედავათ იმისა, რომ პირადათ ჯერ კარგად არა ვარ გაცნობილი საქართველოს მიდამოებს, მაგრამ მე სულ თვალწინ წარმომიდგა საქართველოს მთაცა და ბარიცაო.

ჩვენებური ქართული ცეკვა ბევრი საფეხურით მაღლა სდგას სხვათა ხასიათო ცეკვებზე: არც ერთი უცხო ეროვნული ცეკვა არ არის, რომ ცეკვის დროს ვაჟისაგან ქალი არ ილანძღებოდეს: რაღაცა დიდ უფლებებს იჩენს ხოლმე ვაჟი, მოჰკიდებს ქალს წელში ხელსა და როგორც მონას შემოატრიალებს.

აიღეთ მაგალითად ინგლისური—„მატლოტი", იტალიური—„ტარანტელა", ჰუნგრეთის—„ჩარდაში", თუ გინდა რუსული—„გოპაკა", უეჭველად ვაჟმა ქალს წელში ხელი უნდა მოხვიოს და შემოატრიალოს.

ჩვენებური ქართული ცეკვა ამგვარ ქცევას სრულიად აცილებულია. სანამ ვაჟი ქალს გამოითხოვდეს, დიდის მოწიწებით მივა, გამოიწვევს, შემდეგ ქალი რომ წრეს შემოურბენს, ვაჟი შორი ახლო მისდევს და თითქოს ვეღარ მოითმინა, დაეტანება ქალს. ამ დროს ქალი დაიწევს უკან და ვაჟი დაახლოვებას ვეღარ ჰბედავს, თითქოს ისმა ცეცხლმა შესტუსაო. ქალის წყნარი ნარნარით სიარული, რომელშიაც სცდილობს ცეკვა ხელოვნურად დაამთავროს, რომ არც ერთი ნაბიჯი უმნიშვნელოდ არ გადასდგას. ვაჟი თამამად ფარვანასავებ თავს ევლება, არ ზოგავს უკანასკნელ ღონის ძიებას, როგორმე ქალის ყურადღება დაიმსახუროს.

ხშირად ჩვენ—შეჩვეულებიც კი—უზომო ალტაცებაში მოვსულვართ მშვენივრად დახასიათებული ცეკვით. და ასეთ სილამაზეს ერისას, მის სიამაყეს ნუ შეუშლით ხელს, არამედ ხელი უნდა შეუწყოთ, რომ ცეკვა სხვა ხელოვნებასთან ერთად უფრო ფართედ განვითარდეს.

ვიმეორებ, არც ერთ ხელოვნებაზე ნაკლები არ არის ცეკვა.

ა. გ. ალექსიძე.

*) სადისკუსიოდ

# ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი

(იოსებ იმედაშვილის ხელთნაწერიდან)

ლოლუა, ძუკუ ბახვასძე (1877—1924)—ხალხური მომღერალ-ლოტბარი, დაიბ. 1877 წ. ს. ქვალონში. ორის თვისას მამა გარდაეცვალა, აღზარდა დედა ჯამჯალამ, მანვე შეასწავლა წერა-კითხვა; ბავშვობიდან სიმღერამ გაიტაცა: სკოლის გარეშე დარჩენილი სოფლის მდაბიო მოსიმღერე ხალხში ტრიალებდა (ყანაში, ქორწილში და სხ.) და ყველა მათგან სწავლობდა სიმღერებს. 1889—91 წ. ბათომის ქარხანაში მუშაობდა, 1893 წ. დიაკვნად გაწესდა ს. კოკს (ზუგდ. მ.). ამ თანამდებობაში უფრო შეისწავლა ხალხური სიმღერები. 1897 წ ქუთ. თეატრში გამართა პირველი „მეგრულ ხალხურ მომღერალთა გუნდი“-ს კონცერტი: შეასრულა მეგრულ-აფხაზურ-სვანური სიმღერები და ამითი ქართველ საზოგადოებას პირველად მან გააცნო მანამდე უყურადღებოდ მიტოვებული კუთხის სიმღერები. აქედან თვისი გუნდით იმოგზაურა ბათომ სოხუმ-ო ჩამჩირეს. ამის შემდეგ დროებითი გუნდების საშუალებით კონცერტებს მართავდა, ხშირად უფასოდაც. 1904 წ. ქ. სოხუმში შექმნა მუშათა და მოწაფეთა გუნდები. იმოგზაურა სოჩს, ადლერს და გაგრას, სადაც გუნდებს ჰქონიდა. აქ მოღვაწეობდა 1919 წ-დე და თვისი სალოტბარო—სასიმღერო მოღვაწეობით აფხაზეთს საქართველოს ეროვნულ სულს უახლოვდებოდა. სიმღერის აღორძინების გარდა აქ აწარმოებდა სხვა საგანმანათლებლო მუშაობასაც: მისი თაოსნობით გაიღო წიგნის კიოსკი „დიოსკურია“, ეხმარებოდა სოხუმის დრამ. საზ-ს. ქ. შ. წ. კ. გ. ს., დაარსა აფხაზმეგრელთა სამუსიკო საზ-ბა, მუშაობდა აჭარის დამხმარე კომიტეტში და სხ. სოხუმში შედგენილ გუნდებს მეგრელ-აფხაზურ სიმღერების გარდა ქართლ-კახურ სიმღერებსაც ასწავლიდა, ხოლო საღამო კონცერტებიდან შემოსულ ფულს ღარიბ მოწაფეთ ურიგებდა. 1905 წ. რევოლუციონური სიმღერებით წინ მიუძღოდა თავისუფლებისთვის მებრძოლთ. 1908—14 წ. სოხუმის მუშათა და აფხაზ-მოხალისეთა გაერთიანებული გუნდით იმოგზაურა საქართველოში 1919 წ. ფოთში დაარსა „ქართულ ხალხურ სიმღერების მოყვარულთა საზ-ბა“ და მოწაფე ქალვაჟთა გუნდი, სიმღერას ასწავლიდა ნ. ლოლუას ქალთა პროფ. სასწ.-ში, ქ. სურამში დაარსა ადგილობრივ ახალგაზრდათაგან ხალხურ მომღერალთა გუნდი, 1920 წ ზუგდიდის სამაზრო ერობამ მიიწვია ინსტრუქტორად,—აქ შექმნა მომღერალთა გუნდები მათი დამხმარე საზოგადოებებით (ზუგდიდს, ხეთას, ხობს და სხ.) იმავე წელს ქალვაჟთა გუნდით მოიარა დასავლეთ-საქართველო. 1921 წ. სახ. განათლების კომისარიატის ხელოვნების მთავარ კომიტეტმა დანიშნა სამეგრელოს მომღერალთა გუნდების მთავარ ინსტრუქტორად. მრავალი ხალხური სიმღერა გადაამუშავა და ნოტებზე გადაალებინა. მოღვაწეობდა სამწერლო ასპარეზზედაც. დასწერა: „ჩვენი ცხოვრების სურათები“ (ამოც.) და სხვა მოთხრობები, პიესა—„რევოლიუციის გარიჟრაჟზე“, 1 მოქ., ნაკვესები და სხ. ბათომში ოსმალების შემოსევის დროს მეგრელ აფხაზთა 130 მოხალისით გაემგზავრა. პირველმა მოიწადინა სრულიად საქართველოს მომღერალ-მგალობელთა ყრილობის მოწვევა 1924 წ. ქუთაისში 25 წ. მოღვაწეობის იუბილე გადუხადეს. ყრუ იყო, მაგრამ ბუნებით ნიჭიერი, თითქო ალღოთი ისმენდა სიმღერებს და ასევე ასწავლიდაო.—ლ-ა იმ დროს მოღვაწეობდა, როცა ჩვენში გარუსების ხანა ბატონობდა. თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობდა ხალხურ სიმღერა-გალობის აღორძინებასა და მით ეროვნულ გათვითცნობიერებას, ხალხის სულიერ გაერთიანებას. გარდაიცვალა საკონცერტო რეპეტიციაზე დაავადმყოფების მიზეზით 1824 წ. 10 აგვისტოს. დაიკრძალა ვერაზე დარჩა მეუღლე და ორი წვრილი შვილი. მისი და ცნობილი საზოგადო ჩუმი მოღვაწე ნოტო ლოლუა.

# იუზა ზარდალიშვილი

**(მისი 25 წლის იუბილეს გამო)**

ამ მოკლე ხანში ქუთაისის აკადემიურ თეატრში გადახდილი იქნება იუზა ზარდალიშვილის სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილე.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ეს იუბილე ქუთაისის მხრივ...

ჩვენს სასცენო ხელოვნების ასპარეზზე ზარდალიშვილი საპატიო და თვალსაჩინო ძალას წარმოადგენს.

ახალგაზრდა, ძიების სურვილით აღფრთოვანებული, ენერგიითა და ძალ-ღონით სავსე—ამხ იუზა—ეს ოცდახუთი წელიწადია ემსახურება ქუთაისის სცენასა და ჩვენს ღარიბ საზოგადოებას.

ქუთაისის სცენიდან იწყებს ამხ. იუზას ნიჭი გაშლას და გაფართოებას.. აქედან იწყება მისი პირველი ნაბიჯები სასცენო ხელოვნების ასპარეზზე ჩვენი გამოჩენილი ტრაგიკოსის—ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის ხელმძღვანელობით.

იუბილიარის დიდ გამარჯვებად უნდა ჩაითვალოს, რომ თუმცა იგი არ გასცილებია ქუთაისის რუტინას, არ გაშორებია ჩვენს წვრილს მეშჩანურ ბუდეს, მაინც თავისი ბუნებრივი ნიჭის წყალობით და წარმატებით დღეს ჩვენი ხელოვნებისათვის დიდი ძალათაგანია..

ამხ. იუზა ზარდალიშვილს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ლადოს სიკვდილის შემდეგ ქუთაისის სცენაზე კვლავ სცოცხლობს მებრძოლი სული პრინცი ჰამლეტისა, ძიება ურიელ აკოსტასი, განსახიერება ფრანც მოორის ბოროტი ზრახვებისა, ედმონდ კინი და სხვა კლასიკური ტიპები...

ი ზარდალიშვილის მხატვრული გემოვნება მუდამ წინსვლისა და ახალის ძიების ექსტაზშია... წლევანდელ სათეატრო სეზონში, რომელიც განსაკუთრებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქუთაისის დაობლებულ მდგომარეობისათვის და რომელსაც ცალკე შევეხებით—ი. ზარდალიშვილი ასრულებს მთავარ როლს სცენის გარდაქმნისა და განახლების სფეროში ..

ჩვენ გვჯერა, რომ ასეთ ნიჭიერ და მშრომელ მუშაკს ქუთაისის საზოგადოება—მშრომელი ხალხი შესაფერისად დააჯილდოვებს...

**ჯაფარ-ფაშა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში დაღუპულნი



**ასოთამწყობი ვასო ურუშაძე.**

ვასო ურუშაძე ერთი ისეთ მუშათაგანი იყო, რომელიც 1900-იან წლებში რევოლიუციურ მოძრაობას სათავეში მოექცა. იგი უმთავრესად სტამბის მუშებში მუშაობდა გამბედაობითა და სიმტკიცით.

ახალგაზრდა ვასო, მკვირცხლი და ცოცხალი ბუნების, პირველად გაეცნო ლადო კეცხოველს 1899 წ. ლადოს არ დარჩა შეუმჩნეველი ვასოს სიმკვირცხლე და შეუდგა მის მომზადებას და მუშაობაში ჩაბმას. ვასო ამ დროს მუშაობდა ექვთიმე ხელაძის სტამბაში. ლადომ მისი შემწეობით შესძლო რამდენიმე არალეგალური ბროშიურის დაბეჭდვა ხელაძის სტამბაში. ეს კი იმ დროს უჩვეულო და ძნელი საქმე იყო.

ვასო იღებდა აქტიურ მონაწილეობას წრეებში, გაფიცვებში და ყოველგვარ ორგანიზაციულ მუშაობაში. 1901 წ. დასაწყისში იგი უკვე ტფ. კომიტეტში (სოციალ-დემ. მ. პ.) იყო მოწვეული, როგორც სტამბების მუშათა წარმომადგენელი.

პირველად ვასო, როგორც მახსოვს, 1902 წ. დაიჭირეს, 1903 წ. ივლისში კი, სხვებთან ერთად, გადაასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში. იქიდან დაბრუნდა 1905 წ. დასაწყისში. მაშინვე ჩაება მუშაობაში. მონაწილეობას იღებდა მაშინდელ გაფიცვებსა და გამოსვლებში. დაბრუნებისთანავე ჯერ რაიონულ კოლექტივში იქნა არჩეული და იქიდან ტფ. კომიტეტში. მას ბევრი პასუხსაგები საქმე ჰქონდა დაკისრებული, რასაც დიდის ენერგიითა და თავდადებით ასრულებდა.

1905 წ. აგვისტოში ქალაქის თვითმართველობაში მომხდარ ხოცვა-ჟლეტის დროს ვასო დაჭრილი წაიყვანეს მიხეილის საავადმყოფოში, მაგრამ გზიდან გაიქცა, რადგან იცოდა, რომ მორჩენის შემდეგ ციხეში მიაბრძანებდნენ. შემდეგში იგი მაინც ჩქარა დაიჭირეს და მხოლოდ 17 ოქტომბრის მანიფესტით გაანთავისუფლეს.

ამის შემდეგ იგი კვლავ გაორკეცებული ენერგიით ეწეოდა მუშაობას და როცა მოახლოვდა შავი რეაქციის დღეები — ნოემბერ-დეკემბერი, იგი არჩეული იყო გაფიცვის ბიუროში და ამასთან მინდობილი ჰქონდა მესამე რაიონის (მთაწმინდა-სოლოლაკის) სამხედრო რაზმის ხელმძღვანელობა. იგი აქაც დიდ ობნეობას და თავდადებას იჩენს; საქმის მეტად დიდი სიყვარული — მისი დამახასიათებელი თვისება იყო.

1905 წ. დასაწყისში მისი ხელმძღვანელობით და პირდაპირი მონაწილეობით დაიბეჭდა ლეგალურ სტამბაში არალეგალური ჟურნალი „სოციალ-დემოკრატი", კარგა მოზრდილი ზომისა, 16 გვ. როგორც მახსოვს, გამოვიდა სამი ნომერი, თითო სამი ათასი ცალი. ამავე წელში შეუდგა იგი არალეგალური სტამბის მოწყობას და კიდეც მოიყვანა სისრულეში — შეძენილ იქმნა საუცხოვო მსწრაფლ მბეჭდავი მანქანა, ასოები ბლომად, ადგილიც მშვენივრად მოწყობილ-მოხერხებული. ამ სტამბამ დიდი სამსახური გაუწია სოც.-დემ. ორგანიზაციას — აუარებელი პროკლამაციები, ბროშიურები და გაზეთები იბეჭდებოდა 1905 წ. დასასრულიდან 1909 წ.

1905 წ. გასულს ვასოს დაუპირეს დაჭერა, მაგრამ იმ დროს დაიმალა. შემდეგ მაინც დაიჭირეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. ოთხი თუ ხუთი თვე იჯდა ციხეში. და გადაასახლეს როსტოვში. როსტოვიდან დაბრუნდა ტფილისში და სცხოვრობდა მალულად.

ის ტანჯვა-წამება, რაც მან ორჯერ გადასახლებაში ნახა აუტანელია. ისედაც სუსტი აგებულების პატრონმა ვერ აიტანა ეს და გახდა ავად ფილტვების ავადმყოფობით. თან მალვა, თან ასეთი საშინელი სენი, რომელიც ხელიდან გვტაცებდა ერთ საუკეთესო ამხანავს, ყველანი კარგად ვგრძნობდით.

შვიდი თუ რვა თვე სტანჯა საშინელმა სენმა ვასო და 1907 წ. 12 ნოემბერს გარდაიცვალა. სიკვდილამდის არალეგალურად მცხოვრები ვასო, სიკვდილს შემდეგაც საშიში შეიქნა მთავრობისათვის და გაიცა ბრძანება — საჩქაროდ იქნას იგი დასაფლავებულიო... ხალხი მაინც ბლომად დაესწრო მის დამარხვას, აუარებელი გვირგვინიც იყო მუშებისაგან მოტანილი წითელი ლენტებითა და ესაფერი წარწერებით.

ვასო დაიბადა 1881 წ. გურიის სოფ. ორაგვეში, იყო ღარიბი გლეხის ოჯახიდან. მამა ადრე მოჰკვდომოდა და დედას, ვასოს გარდა, სხვებიც ჰყავდა გამოსაზრდელი. ვასოს ცოლის სიკვდილის შემდეგ, დარჩა ერთი შვილი, რომელიც ამ ხანად ტფილისში ცხოვრობს.

**ძველი მუშა.**

---

**რედაქციისაგან.** რედაქცია სიამოვნებით დაუთმობს ადგილს წერილებსა და მოგონებებს იმ მუშა-რევოლიუციონერთა შესახებ, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში და რომლებიც მსხვერპლი გახდენ ამ ბრძოლის. ასეთი მუშების რიცხვი საქართველოში არაა მცირე. ვთხოვთ ყველას — მოგვაწოდონ წერილები და ცნობები სურათებით, რასაც დიდი სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

**რედ.**

# სომეხთა მწერალ-მოღვაწენი

## აზატ ვშტუნი

სომეხთა ახალგაზრდა მგოსანი აზატ ვშტუნი დაიბ. 1894 წ. საოსმალო სომხეთში. პირველდაწყებითი სწავლა მიიღო იქვე, შემდეგ პარიზის ინსტიტუტის საწერლო ფაკულტეტზე. დედა მისი იყო მასწავლებელი. 1914 წ, მსოფლიო დიდი ომის დროს ჩამოვიდა კავკასიაში. 1915 წ. დაიწყო სამწერლო მოღვაწეობა. 1918 წ. გამოსცა თავის ლექსების პირველი ტომი, უმთავრესად სიმბოლიური მიმართულებისა. ამ ლექსებმა, გარდა შინაარსისა, თავისი საუცხოვო ტეხნიკისა და რითმით დიდი ყურადღება დაიმსახურა სომეხ მკითხველთა და ავტორი



## აზატ ვშტუნი

კარგ პოეტად იცნეს. 1918 წ. დაიწყო რევოლიუციონური ლექსების წერა. 1921 წ. ერევანში, სომეხ ახალგაზრდა მგოსნებთან—ეღიშე ჩარენცთან და გევორქ აზოვთან ერთად გამოსცა 3-ის „დეკლარაცია" ძველი მწერლობის წინააღმდეგ, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ე. ჩარენცი და გ. აზოვი ფუტურისტულ მიმართულებას მიჰყვნენ და თავის თავი ფუტურისტებად გამოაცხადეს, აზატ ვშტუნი ჩამოშორდა მათ და პროლეტ. თვიური ჟურნ. „მურჭ" („გრდემლი"-ს) გამოცემა დაიწყო. დააარსა პროლეტპოეტების ასოციაცია, რომლის თავმჯდომარედ მთელი ერთი წლიწადი იყო, ამავე დროს „მურჭი"-ს მუდმივი პასუხისმგებელ რედაქტორი. 1923 წ. გამოვიდა მისი ახალი ლექსების კრებულები: „Нео orientalia" და „ჰუზანქ უ ზანგ", პროლეტარული ელფერით. 1924 წ. გამოსცა ლექსების წიგნი „სალამნამე", რომლის შესახებაც სომხურ გაზ. „მარტაკოჩ"-ში ს. ხანოანმა დასწერა დიდი კრიტიკა და მოიწონა. ვშტუნი ამ წიგნში უმღერის აღმოსავლეთის გაღვიძებას, ბრძოლას და რევოლიუციას. წიგნი გაჟღენთილია კოლლექტივიზმით. აზატ ვშტუნიმ მოიარა ევროპა და აღმოსავლეთი, კარგათ იცნობს იქაურ ყოფა-ცხოვრებასა და ტიპებს. მონაწილეობა მიუღია ძველსა და ახალ ყველა სომხურ ჟურნალ-გაზეთში, სადაც მოთავსებული აქვს მრავალი ლექსი. ამჟამად ტფილისშია და სცემს ყოველკვირეულ პროლეტარულ მუშურ სალიტერატურო-სახელოვნო ჟურნალ „დირქერუმ"-ს (თხრილებში).

სურენ ავჩიან.

# დაბა-სოფლის თეატრის ისტორია

## საგარეჯოს თეატრი

სოფ. საგარეჯო გარეკახეთში შესანიშნავია: სალი ჰაერით, მშვენიერი ბუნებით, უხვი დედამიწით და წყლით. თავიდანვე ჰყავს მრავალი ინტელიგენცია, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა თეატრს. პირველი წარმოდგენა გაიმართა 1874 წ. სოფლის ქვეითა სკოლის დარბაზში. დაიდგა გ. ერისთავის „ძუნწი" და „უჩინ-მაჩინის ქუდი" ლევ. ჩერქეზიშვილის რეჟისორობით. მონაწილეობდნენ: ალ. ცხვედაძე, იერ. გულისაშვილი, მარო ჩერქეზიშვილი და სხ. ხალხი პირველს წარმოდგენას აღფრთოვანებით შეხვდა და ხელმძღვანელთ სთხოვა წარმოდგენა ხშირ-ხშირად გაემართათ. იმავე სკოლის შენობაში 1875 წ. ზემო დასახელებულ პირთა მონაწილეობით დაუდგავთ გ. ერისთავის „გაყრა". ხალხში თეატრისადმი მისწრაფებამ უფრო იმატა, რის გამოც მოუხშირეს წარმოდგენების მართვას სხვადასხვა შენობაში. 1880 წ. ნიკ. გარსიაშვილის ეზოში დასდგეს „პეპო" სუნდუკიანცის. მონაწილეობდნენ: შაქრო გულისაშვილი (პეპო), იერემია გულისაშვილი (კაკული), ნიკ ოქრომჭედლიშვილი (გიქო.), ვასო მჭედლიშვილი (ეფემია) და საგანელის მღვდელი (კეკე). ამ წარმოდგენის დროს იმდენი ხალხი მოაწყდა, რომ ბილეთების უშოვნელობის გამო ასტყდა ჩხუბი. ჩხუბში, გრიმებში გამოწყობილი მსახიობებიც ჩაერივნენ, ხალხი დააშოშმინეს და პიესა მშვენივრად ჩაატარეს. შემდეგ წლებში პიესებს სდგავდნენ თევ. გულისაშვილის სახლში, აქედან მკვიდრი ბინა დაედო ქურდიანის ჩარდახში, ხოლო მას უკან გილაანთ უბანში, სადაც საბავშო დილებიც იმართებოდა ხოლმე. ამ წლებში ზოგჯერ მეზობელ სოფლის სცენის მოყვარეთა დახმარებით იმართებოდა წარმოდგენები. დაახლოვებით 1894 თუ 1895 წ ძმ. გიგო და იოსებ ქურდიანის კალოზე სახელდახელოდ გამართულ სცენაზე დასდგეს დ. ერისთავის „სამშობლო", შემდეგ ავ. ცაგარელის „ციმბირელი". ამ პიესის დამდგმელნი და როლების აღმასრულებელნი იყვნენ: ხაშმელი სცენის მოყვარენი დავ. ნახუცრიშვილი, იოსებ იმედაშვილი, პატარძეულელი: ზაქრო ბილანიშვილი, ტფილისიდან: ნუცა საყვარელიძე, ადგილობრივი: ლენტო გულისაშვილი, სპ. ბედიაშვილი, სამ. მჭედლიშვილი, ქურდიანები, გულისაშვილები და სხვ. ამ პიესებში მონაწილენი უმთავრესად გ. ქურდიანის ოჯახში იყვნენ მათ ხარჯზე. შემოსავალი წიგნთსაცავისთვის გადადო ნაწილი ფოსტისთვის. ამ წარმოდგენის მოწყობაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა ექიმი აბელ იაშვილიც. ამის შემდეგ ათიოცი წლის განმავლობაში მუდმივი თანამშრომლები იყვნენ: შაქრო, გაბო, იერემია, საზონ, მინადორა და ბაბო გულისაშვილები, ლიზა ვაშაკიძე, ვარო მჭედლიშვილი-ალნიაშვილისა, გარსიაშვილები, ოქრომჭედლიშვილები და სხ. ყველა ესენი დაუღალავად შრომობდენ ჩარდახებში პიესების დასადგმელად; მათში არავითარ გულცივობას, მორიდებას (რაც ხშირია პროვინციაში, უმთ. ქალების მხრივ), ადგილი არა ჰქონია და ეს იყო მიზეზი, რომ ხალხში თეატრისადმი ლტოლვა ძლიერ გაიზარდა: ამან წარმოშვა აზრი თეატრის აშენებისა. 1910 წ. შაქარა პეპანოვის სახლში ხამთარ-ზაფხულს იმართებოდა წარმოდგენები თეატრის ფონდის გასაძლიე-

რებლად იერემია გულისაშვილის და ნიკო ლეჟავას რეჟისორობით. ამ ზე ცოტა წინ ს3. ჯაბადარის შენობაში დასდგეს: „თამარ ბატონიშვილი“, „სამშობლო“, „პეპო“, „მზის დაბნელება“, „არსენა“, „დრონი მეფობენ“, „ცხოვრება ბრძოლაა“, „ტარტიუფი“ იერემია გულისაშვილის რეჟისორობით. საგარეჯოს დრამატიული დასი იმდენად გაიზარდა, რომ წარმოდგენების მართვა დაიწყეს ახლო მახლო სოფლებში (მანავს, თოხლიაურს, გიორგიწმინდას, პატარძეულს და სხვ.) ნიკო ბაზიეროვის თაოსნობით, წინ მოხსენებულს მუშაკთა შრომით. წარმოდგენებიდან აღებულ ფულით და სოფლის დახმარებით 1910 წ. ჩაეყარა საძირკველი სათეატრო დარბაზს, ხოლო ეს თეატრი აგებულია სოფლის შუაგულს განმარტოებით, ბაზრიდან ცოტა მოშორებით, „ხატი კაკლების“ მოედანზე, რომლიც ირგვლივ შემოსალტულია უზარმაზარი კაკლის ხეებით და ზაფხულობით ამკობს მწვანე ხავერდის მოლი. ეს ადგილი შუაგულია სოფლისა და საგარეჯოს მკვიდრთა დროს გასატარებლათ დაწყებულია. თეატრი გაშენებულია მოედნის თავში, თვითონ შენობა თუმცა საკმაოდ მოზრდილია, მაგრამ უბრალოა. მას არ ამკობს სილამაზე არც გარეგანი და არც შინაგანი.

1914 წ. იწყება საგარეჯოს თეატრის ახალი ისტორია, გამოჩნდენ ახალი ძალები: კოლა ქურდოვანიძე, იაშა ანუაშვილი, არჩილ ქურხული, მიტო ჯაბადარი. (ან. გარდაცვ.), კირა გარსიაშვილი, დარია მაისურაძის ასული და სხ. ესენი ზაფხულობით კვირა უქმეებში მართავდენ წარმოდგენებს. აქედან დაიწყო საგარეჯოს მკვიდრთა დროს ტარების ახალი ხანა,—წინათ თუ ხალხი მარტო საეკლესიო უქმეებით ერთობოდა (მაგ. პეტრე-პავლობა, წმ. დავითობა, ღვთისმშობლობა, თავწმინდა-გიორგობა, დიდოობა და სხ.), ახლა თეატრის საღამოებს სიხარულით მოელიან. თეატრმა ბევრს შეაყვარა კულტურა, მისივე გავლენით იყო, რომ ბევრმა შვილები ტფილისს გაგზავნა სასწავლებლად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საგარეჯოს თეატრს ბევრი უვიცი ადამიანი მტრულის თვალით შეჰვდა, იქ გარყვნილების მეტს არაფერს ხედავდა. ჭორიკანები აჭორიკანდნენ; მაგრამ თეატრის გამარჯვება ურყეველი იყო! კვირა უქმეებში იმართებოდა იაშა ანუაშვილის რეჟისორობით, ხოლო დარია მაისურაძის ასული ხელს იწყობდა საბავშვო დილა-საღამოებს (ერთ ორ საბავშვო წარმოდგენაში მეც მიმიღია მონაწილეობა, ჩემის ამხანაგებით 1916—18 წლებში). მუდმივ დასის წევრებად ითვლებოდნენ ისინი, ვინც ზამთარ-ზაფხულს რჩებოდა სოფლად, ხოლო ზაფხულში დაბრუნებული მოწაფეობა თავის მხრივ მართავდა წარმოდგენებს. ასეთები იყვნენ (1916—20 წ.): ანგელინა, ნატალია, გიგლა, გიორგი, ნიკო გარსიაშვილები, გ. მეზვრიშვილი, გ. პანკელაშვილი, კ. ყანდარელი, ნ. ქურდოვანიძე, შ. თათუზაშვილი, მ. სულთანიშვილი, კ. საგინაშვილი, ვ. მამისაშვილი და სხ. ამათ ერთ ზაფხულს დასდგეს: „ღალატი“, „ძამა“ გიგლა გარსიაშვილის რეჟისორობით, რომელმაც საკმაოდ რიგიანად ჩაიარა.

ამავე „ხატი კაკლების“ მოედანზე დაარსებული იქნა საზაფხულო ტან-სავარჯიშო საზოგადოება. ხელმძღვანელობდა გიგლა გულისაშვილი, მოედანზე დადგმული იქნა: ღერძი, ლატანი კაკლის ხეებზე, სახტომი ბოგირები და სხ. სავარჯიშოები, რომელიც ხალხს მეტის მეტად მოსწონდა, ხშირად იმართებოდა ვარჯიშობის წარმოდგენების საღამოს. ხალხი მიდიოდა საყურებლად, ხოლო ვარჯიშის შემდეგ—ეტანებოდნენ თეატრს. ასეთმა მოვლენებმა ხალხი დააკავშირა ინტელიგენციასთან და შეაყვარა განათლება; ამიტომ არის, რომ მთელს კახეთში, თითქმის ყველაზე მეტი მოწაფეობა და სტუდენტობა (ქალი და ვაჟი) ჰყავს საგარეჯოს. ბოლოს და ბოლოს თეატრი მოღონიერდა ტეხნიკურად, შეიძინა საჭირო რეკვიზიტი და დეკორაციები. ასე ვითარდებოდა საგარეჯოს თეატრი 1874—1920 წლ.

1921 წლიდან იწყება მესამე ხანა. ამ წლიდან საგარეჯოს თეატრს გამოუჩნდა ალ. ბურთიკაშვილი, რომელმაც შეჰქმნა ახალი სისტემა სცენაზე; დაარსა ახალი „დრამატიული კოლექტივი“, თავის რეჟისორობით, და მსახიობის მოვალეობა გადააქცია ხელობად; სისტემატიურად დაიწყო წარმოდგენების მართვა, კვირაში ორჯერ კოლექტივის წევრებად ითვლებოდნენ: ალ ბურთიკაშვილი (რეჟ.), იაშა ანუაშვილი (ძველი დასიდან), კოლა ქვლივიძე, კოლა ქურდოვანიძე (ძველი დასიდან), ვანო არონიშიძე, ვანო მჭედლიშვილი, მიშა ქარსაულიძე, გ. გარსიაშვილი (სუფლიორი), მიტო ჯაბადარი, ქალები: ელო ავალიშვილი, კირა გარსიაშვილი, მარო მეზვრიშვილი, ლიზა ვაშაკიძე (ძვ. მსახიობი), ელო გოდერძიშვილი და სხ. „დრამატიულ კოლექტივის“ მუშაობა ბოლო ხანებში ვერ იყო ხალისიანი. ამის მიზეზი ერთი სამწუხარო მოვლენა შეიქნა: 1922 წ. საგარეჯოს თეატრი გაქურდეს, წაიღეს მთელი რეკვიზიტი (5 ფუთამდე), ტილოებიც-კი ჩამოეჭრათ, რამაც ცოტა არ იყოს, შეღუნა სათეატრო საქმე. 1923 წ. საგარეჯოს თეატრს კვლავ დაეტყო სიხალისე. აქ ერთსა და იმავე დროს შესდგა სამი დრამატიული დასი: I „დრამატიული კოლექტივი“ ბურთიკაშვილის ხელმძღვანელობით, II. „ახალგაზრდათა დრამატიული დასი“, ჩემის თაოსნობით და რეჟისორობით, III. „კომ. კავშირის დასი“. ეს ორი უკანასკნელი შეერთდა, ვინაიდან სამი დასი ერთმანეთს ხელს უშლიდა.

1924 წ. დამსახურებულ მოღვაწეს იერემია გულისაშვილს გადაუხადეს 35 წლის შრომის იუბილე. ეს საყურადღებო მოვლენა იყო პროვინციაში. ხალხში ფეხი მოიკიდა თვითშეგნებამ, განათლებამ და თავის მოღვაწეს, მძიმე შრომისათვის, მადლობა გადაუხადა. 1924 წლ ზაფხულს უფრო გაცხოველდა მუშაობა. დაარსებული იქნა ოთხი დასი: I. ბურთიკაშვილის „დრამატიული კოლექტივი“, II. „კომკავშირის დრამატიული წრე“ (ესენი ხშირად თავიანთ კლუბში), III. ჯარის „დრამატიული დასი“ (საგარაკოდ იყვნენ მოსულნი) და „საოპერეტო დასი“, ივ. კობახიძის რეჟისორობით. თითქმის მუდამ დღე იმართებოდა წარმოდგენები. ბოლო ხანებში ხელი შეუშალა აგვისტოს გამოცვლებმა. სამწუხაროა, რომ კვალ ინდებურად აღარ არსებობს საზამთრო სეზონი.

აი ერთის თვალის გადავლებით საგარეჯოს თეატრის ისტორია *).

**სიმ. მთვარაძე**

დიდ მადლობას ვწირავ: იერემია გულისაშვილს, ალ. ბურთიკაშვილს გიორ. გარსიაშვილს და კოლა ქვლივიძეს, ამ ისტორიის შესადგენად ცნობის მოწოდებისათვის. **ავტ.**

---

*) რედაქციისაგან. პროვინციის თეატრის არსებობის 50 წ. შესრულება საქართველოში სასიქადულო მოვლენაა. საჭიროა ეს მოვლენა რაიმეთი (თუნდა იუბილეს გადახდით) აღინიშნოს და თეატრი ისე შეკეთდეს. როგორც საგარეჯოს შეეფერება. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბავშვო მწერლობა

**ლეო ქიაჩელი, საბავშვო მოთხრობები**, წიგნი მეორე. მო^ონებულია საქართვ. სამეცნ. საბჭოს მიერ, როგორც საკითხავი წიგნი ბავშვთათვ:ს. ყდა და სურათები ვლ. სიდამონ-ერისთავისა. ტფ. 1924 წ.

უზომო სიხარულს განვიცდი, როდესაც ვხედავ ახალად გამოცემულს ქართულ კარგ საბავშვო წიგნაკს და განა შეიძლება სხვა ნაირად შეხვდე ასეთ მოვლენას ჩვენს ღარიბ საბავშვო ლიტერატურაში, როდესაც ყოველ დღე ხედავ, რამდენად მოწყურე-ბულია ქართველი ბავშვი საკით.ხავ წიგნს, და ვერ იკლავს ამ წყურვილს. ამიტომაც სასიამოვნო მოვლენად მიგვაჩნია ლეო ქიაჩელის ახალი საბავშვო, სუფთად და კოხტად გამოცემული, უხვად დასურათებული წიგნი ზემოდ ამოწერილი სათაურით. მეტად მიმზიდველია თავის სილამაზით და მხიარული ფერებით ყდა. პირველივე შეხედვით ბავშვი მხიარულ გუნებაზე დგება და თვალი ვერ მოუშორებია სურათისაათვის, მისი გული უკვე მოხიბლულია წიგნით; და არც სტყუვდება: არა ნაკლებ საინტერესოა მისი შინაარსიც წიგნი შეიცავს 6 მოთხრობას. მოთხრობები დაწერილია სადა, გასაგები ენით. სიუჟეტი აღებულია ბავშვის ცხოვრებიდან. სულ ნაცნობი განცდანი. მომქმედ პირებათაც გამოდიან თვით ბავშვები, გარდა ერთი მოთხრობისა („ფაცურა და გიშერა ), რომელშიაც აღწერილია სახლის ორი ერთგული დარაჯი—ძაღლის „მეგობრული, ხმაშეწყობილი ცხოვრება", მაგრამ, დახე ცხოვრების სიმუხთლეს! მაშინაც კი, მიუხედავად მეგობრობისა, ფიზიკურად ღონიერი თავის პირად ინტერესს მეგობარის ინტერესზე წინ აყენებს, თუნდაც ეს საზარალო იყოს მისი მეგობრისათვის; უკანასკნელი იძულებულია მაშინ მეტი ფხა და უნარიანობა გამოიჩინოს, რომ არ დაეჩაგროს უფრო ღონიერს. მოთხრობა ერთი საუკეთესოთაგანია და სიამოვნებითაც ისმენენ ბავშვები. მცირე შენიშვნა: ჩვენის აზრით ემჯობინებოდა ამ მოთხრობის უკანასკნელი 8 პწკარი გამოეტოვებინა ავტორს, რადგან მხოლოდ სიყალბე შეაქვთ მოთხრობაში. შეუძლებელია ძაღლი ყოველდღე სტყუვდებოდეს და მაინც ვერ გაუგოს ამხანაგს ეშმაკობა.

ხედმიწევნით ლამაზია და წარმტაცი მოთხრობა: „ოთარიკო, ზღვა და მზე". ბავშვი პირველად ხედავს დიდებულ სურათს—მზის ჩასვლას ზღვაზე. მას ჰგონია, რომ მზე ზღვაში ვარდება და მაშინ ხომ მზეს დახრჩობა მოელის! უცნაური მოვლენით ზარდაცემული, ოთარიკო ეძლევა სასოწარკვეთილებას. იგი სტირის: „ვაიმე, ჩავარდა მზე! აკი გითხარი, დედა, ჩავარდება მეთქი! მე მზე მინდა!.. ღამე არ მინდა! ახლა კი რა ვქნათ, რომ მზე დაიხრჩო!" უზომოდ სწუხს ოთარიკო. მწუხარებამ ჭამის მადაც კი დაუკარგა. დედის განმარტება ნახული მოვლენისა არ აკმაყოფილებს ბავშვს. მიღებული შთაბეჭდილება იმდენად ძლიერია, რომ ვერც ძილი ამშვიდებს ოთარიკოს აფორიაქებულ სულს და აი ის მიეშურება საყვარელი მზის საშველად. ბევრი წვალების შემდეგ, ერთი თევზის დახმარებით ოთარიკო მიაგნებს იმ ადგილს, სადაც მზე დაიხრჩო, პოულობს მას და ამოჰყავს. უზომოდ გახარებული ოთარიკო შეჰყვირებს ძილში: „აჰა, მზე, მზე!" და საკუთარი ყვირილი გამოაღვიძებს მას. ოთარიკო [illegible] ახელს თვალებს და დაინახავს ფანჯარაში მზეს. გახარებული ეუბნება ამ ყვირილზე მოსულ დედას: „იცი, დედა, რომ მზე მე ამოვიყვანე ზღვიდან?."

არა ნაკლებ საინტერესოა დანარჩენი მოთხრობებიც.

მაგრამ საუკეთესო დამფასებლად ასეთ წიგნებისა უნდა ჩაითვალნენ თვით ბავშვები, ის წრე, რომლისთვისაც წიგნი დანიშნულია. ამ მხრივ ავტორი მისალოცია: სიამოვნებით და გატაცებით ისმენენ ამ მოთხრობებს.

აღვნიშნოთ ნაკლიც, თუმცა იგი შეეხება გარეგნულ, ასე ვსთქვათ. ტეხნიკურ მხარეს. წიგნის ფორმატი პატარა ბავშვებისათვის მეტად დიდია, სახმარებლადაც ნაკლებ გამოსადეგი; ემჯობინებოდა მომცრო ტანისა: ბავშვს მოსწონს რამდენადაც უფრო მალე გაათავებს გვერდს და გადადის ახალ გვერდზე. სტრიქონები მეტად გძელია; ესეც მალე ღლის პატარა მკითხველს, ისე როგორც შრიფტი, რომელიც პატარებისათვის წვრილია.

მადლობის ღირსია ავტორი, რომელიც არ ივიწყებს ჩვენს ბავშვებს და ხანგამოშვებით აწვდის საკითხავ წიგნს პატარა მკითხველებს (ცალკე წიგნებათ არის გამოსული მისივე საბავშვო მოთხრობები: 1) ნატვრის თვალი, მეგობრები – პატარებისათვის და 2) ნატახტარის საიდუმლო—მოზრდილთათვის. ორივე წიგნი მოსწონთ ბავშვებს).

მაგრამ ყველა ეს ცოტაა. დღევანდელ პირობებში. სასურველია, ყველა ჩვენი საბავშვო მწერლები გაორკეცებულის ტემპით აამუშავებდენ თავიანთ კალამს. ეს განსაკუთრებით საჭიროა ეხლა, ჩვენი სკოლის გაეროვნების შემდეგ, თუ გვინდა, რომ ეს გაეროვნება არ გადიქცეს ცარიელ სიტყვად. წარსული წლების „ჯეჯილ-ნაკადულში" ბლომად მოიპოება საკითხავი მასალა, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს სკოლას, ხელახლა რომ გამოსულიყო პატარ-პატარა წიგნაკებად; ეხლანდელი ბავშობა კი მათით (ჟურნალების წიგნ-გამოცემებით) ვერ სარგებლობს ისე, როგორც სასურველია. **საბავშო წიგნების გამოცემას და გავ ცელებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება**, თუ გვინდა, რომ ჩვენს გაეროვნებულ სკოლას ზურგი გაუმაგროთ. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი საზოგადოება არ აქცევს ამ საქმეს სათანადო ყურადღებას. ამა წლის დასაწყისში ისევ ძვე[illegible]მა მოღვაწემ და ჩვენი საბავშვო მწერლობის მო[illegible]ბემ, დაუღალავმა მოხუცმა ანასტასია წერეთლისამ [illegible]იზრახა საბავშვო წიგნების გამოცემა, მიიშველია რ[illegible]დენიმე პირი წარსული წლების „ჯეჯილიდან" გამოს[illegible]ბ მასალის ამოსაკრეფად და უკვე გამოსცა ორი წ[illegible]ნი: 1 ცხოველების გამჭრიახობა და 2) სახელოვან [illegible]ამიანთა ცხოვრება. მაგრამ ეს ხომ ცოტაა, და ვინ [illegible]ცის რამდენ ხანს გასძლებს თვით ეს გამომცემლობა, თუ საზოგადოებამ მეტი თანაგრძნობა არ გამო[illegible]ინა და არ მიეშველნენ დამწყებთ ამ საქმეში ხომ [illegible]ჩერდა დ. დონდუას საუცხოვო არაკები-ზღაპრების გამოცემა და აღარც წინა გამოცემები მოიპოება [illegible]ასყიდად. მაგრამ თუნდაც რამ გამოდიოდეს, ერთი და ორი ადამიანის მუშაობა ვერას გახდება. საჭიროა მკვიდრი, უფრო ღონიერი ორგანიზაციის შექმნა განსაკუთრებით საბავშვო წიგნების გამოსაცემად. არ შეიძლება ყველა წიგნების გამოცემა მოვახვიოთ თავზე ჩვენს სახელმწიფო გამომცემლობას, რომელიც ისედაც დატვირთულია აუარებელი საქმით. ან კიდევ თვით ავტორებს. საჭიროა საზოგადოებამაც გაანძრიოს ხელი.

X.

# სახელოვნო მიმოხილვა

**ბათომში** წელს ქართული დრამა არაა, რის გამო ქართველი საზოგადოება მოკლებულია ქართულ ხელოვნებას. სამაგიეროთ მუშ თა კლუბებმა გამოაცოცხლეს მუშაობა დრამატიული წრის დაარსების საშუალ ბით. ერთ საუკეთესო ქართ. დრამატ. წრედ უნდა ჩავთვალოთ საბჭოთა მოსამსახურეთა კავშირის კლუბთან არსებული წრე, რომელი ც დიდი ხანია არსებობს, მაგრამ წლევანდელი'თანა ნაყოფიერი მუშაობა არ ჰქონია. წრეში საკმაოდ მომზადებული ძალებია და წარმოდგენებიც ხშირად იდგმება. ცენტრალური კლუბშიც, არსებობს ახალი წრე, რომლის ნამუშევარი ჯერჯერობით არაფერი სჩანს, საჭიროა კლუბებმა გამოაცოცხლონ თვისი მუშაობა და მშრომელ ხალხს საშუალება მისცენ ხელოვნებას ეზიაროს.

**პ. ობოლი.**

---

**ქ. თელავში** დაახლოვებით ივლი'ის პირველ რიცხვებში გვესტუმრნენ მსახიობნი: ელო ანდრონიკაშვილი, ხახე ამირაჯ ბი, მ. გელოვანი, ვ. ჯაბადარი და მ. გულ შვილი. გამართეს სალამო-წარმოდ ენა, რამაც სასურველად ჩაიარა, გან აკუთრებით აღფრთოვანებაში მოყვანა საზო ადოება ვ ჯაბადარმა, რომელმაც პიანინოზედ შეასრულ რამოდენიმე პ ე'ა, საკუთარი ნაწარმოებიდან. ხახე ამირაჯიბმა მოათილისმა ხალ ხი თავისი მაზხიდველი, ნაზის ხმით (აზიურ ჰანგებს სული ჩაუდგა ქართულ შესასრულე'ის სახით). საზოგადოების თხოვნით ერთ თვემდე დარჩნენ. ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივი ძალების დახმარებით დადგეს: „სიმახინჯე", „ორი ობოლი", „გვიმქორი" და სხვ. ყურადღების ღირსია სამივე. თელავი ძლივს ეზიარა ნამდვილი ხელოვნებას. მ. გელოვანმა დატოვა წარუხოცელი კვალი: შეუდარებელი იყო ამ პიესებში. ელო ანდრონიკაშვილმა ჭეშმარიტი განსახიერება მოგვეცა „ორ ობოლში" უსინათლო დის, მისს სცენაზე გამოსვლასა და თამაშს სულგანაბულნი ადევნებდენ თვალყურს. ადგილობრივ ძალთაგან ყურადღება ღირსო ქ. ჭელიძემ, მ ხერხეულიძემ, ან. მარჯანოვამ, თიკო ლვინიაშვილმა, სხვებსაც არა უჭირდათ რა. „სიმახინჯე"-ში და „ორ ობოლ"-ში ან. მარჯანოვმა დიდად დააკმაყოფილა საზოგადოება თიკო ლვინიაშვილი საუცხოვო იყო „გვიმქორში". ამ ახალგაზრდა მსახიობმა რომ თავისი ნიჭი გაავითაროს სპეციალურის განათლებით, ერთ საუკეთესო ადგილს დაიჭერს ქართ ელ მსახიობ ქალთა შორის. ამ სტუმრების წყალობით თელ ვის თეატრი კოველთვის სავსე იყო ხალხით ალსანიშნავია მიშა გულაშვილის ღვაწლი, რომელმაც მოაწყო ამ სტუმრების ჩამოსვლა. ამასთანავე მან თავისი ოთახიზატოული ნიჭით აღადგინა წესრიგი დარბაზში, რომლის მხრივაც თელავი ძალიან მოიკოჭლებდა. სასურველია ასეთი დასი კვლავ ესტუმრებოდეს კახეთს.

**შალვა.**

---

**სოფ. ქვემო-მაჩხაანში** შენდება სახალხო სახლი, რომელშიაც მოთავსებული იქნება: დ რბაზი სცენით, სამკითხველო, კლუბი, კინო და სხვადასხვა საკულტურო დაწესებულება.

შენობა დიდია. დარბაზი დაიტევს 500—600 კაცს. განათება ელექტრონით. სცენა შესაფერისად მოეწყობა.

სახლს აშენებს ქიზიყის რაიონის მცხოვრები გლეხკაცობა, რომელთაც არაჩვეული დაიშურეს ამ საქმის კეთილად დასრულებისათვის.

საქმეს ხელმძღვანელობს საამშენებლო კომისია, რომელშიაც შედიან: ილ. ჩერქეზიშვილი, პლ. ჯაჯანიძე, მიხ. ლეჟავა-შვილი, რაჟ. ჯალიაშვილი, მოსე ჯალიაშვილი.

შენობა უკვე აშენებულია და დახურული. ამ ჟამად სწარმოებს მუშაობა შიგნით მოწყობისათვის, რომელიც დამთავრდება მომავალი ზაფხულისათვის და ქვემო-მაჩხაანის სახალხო სახლი გაუღებს კარებს ქიზიყის მშრომელ ხალხს ხელოვნებისა და კულტურის შესათვისებლად.

**იხ.**

---

**ახალციხეში** ლენინის სახელობის მუშათა კლუბში ადგ. სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნა ალ. ყაზბეგის „ყაჩაღი არსენა". კარგად და მოხდენილად შეასრულა არსენა სოსო თარხნიშვილმა, მასწ ვახტანგ გვეტაძემ -გარსევანი, ვ ხ გურგენიძემ—მოურავი, თამარ აეგიაშვილმა—ნინო. მასწ. კაშიამ—პეტრე. თარხნიშვილს სამსახიობო ნიჭი ეტყობა მიმიკას უნდა მიაქციოს ყურადღება.

მასწ. ვ. გვეტაძე თითქო' განგებამ მოავლინა ჩვენს ოდესღაც დიდებულ, დღეს კი—მიძინებულ დამ ჩავებულს მესხეთს,—რომ ენერგიული შრომით კვლავ გააჩაღოს ჩაბნელებული ძველი მესხეთ ს ხელოვნების ჩირაღდანი...

გურგენიძე ადგილობრივი მკვიდრია ახალგაზრდული თავდავიწყებით ემსახურება მშობლიურ ხელოვნების ტაძარს. მას რამდენიმე პიესაც აქვს დაწერილი, რომლებიც დაიდგა ქ. ახალციხესა და მის მაზრაში ავტორის მონაწილეობით. სასურველია თამარ ბეგიაშვილი ხშირად მიიღებდ ს მონაწილეობას ქალების მხრივ ღარიბს ჩვენს სცენაზე.

მასწავლებელმა კაშიამ დინჯათ და მოხდენილად შეასრულა პეტრეს როლი

ალ. მაისურაძემ, ვ წალდაძემ, მაფ. მამულიშვილმა, კოწია ბეგიშვილმა (13 წ.) უნაკლოდ შეასრულეს ნაკისრი როლები მაისურაძეს სახის უმეტყველება და გამოთქმა ჰღალატობდა.

დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ.

სცენის მოყვარენი დაუღალავი და ენერგიულად მუშაობენ.

ალსანიშნავია ნა ლიც, მაგალ. ზოგიერთს სცენის მოყვარეს შეყურებული ტანისამოსი ეცვა, ზოგიერთი სცენის მოყვარე გლეხის როლში სცენაზე ჯიბიდან იღებდა პაპიროსს „საბჭოთა" ყუთით და სწევდა.

წარმოდგენა დაიდგა ადგილობრივ „კომსომოლისტთა" კლუბის სასარგებლოთ. ხალხი ცოტა და სწრო.

**პავლე გურგენიძე.**

---

**აზერბეიჯანში ქ. ბაქოს** დაარსდა სახელმწიფო ნოტების გამომცემლობა, ცნობილ საოპერო მსახიობ ქალის შევქეთხანუმ მამედოვას მეთაურობით. გამომცემლობის მიზანია: შეგროვება, დამუშავება და ბეჭდვა ალმოს ვლური (განსაკუთრებით აზერბეიჯანული) ხალხური ჰანგებისა. მონაწილეობენ ცნობილი პროფესორები: ი. აისბერგი,

რ. გლიერი, მ. იპპოლიტოვ-ივანოვი, ჩ. კარაგიჩევი, ზ. ფალიაშვილი, ა. სპენდიაროვი და სხვ. უკვე ცხრა ჰანგი გამოიცა გლიერის და კარაგ ჩევის გარმონიზაციით; შინაარსის შესახებ ჩვენ გვექნება დაწვრილებითი წერილი. ადერბეიჯანში ნოტების გამომცემლობის გარდა არსებობს გრამოფონის ფირფიტების ქარხანაც. საჭიროა, ჩვენშიაც დაარსდეს ორივე ასეთი დაწესებულება. **ალი ოღლი.**

**ჩოდრიშვილის და კეცხოველის სახელობის ტრამვაელთა კლუბი** კარგა ხანია მუშაობს, მაგრამ სხვა კლუბებთან შედარებით აქ ძალიან სუსტობს ყველაფერი. არ ვიცი რას მიეწერება, კლუბის გამგეობას ყოველთვიურად ეძლევა კულტ-ფონდი, ყველაფრით ხელი ეწყობა შეძლების დაგვარად, მაგრამ ისეთი სიცოცხლე როგორიც სხვა კლუბებშია, არ არის. კლუბის გამგეა ამხ. ლიუმჩუკი, პრეზიდიუმში შედიან დუშევინი, ხოჯაევი, სუდოროგინი კლუბში მუშაობს რამდენიმე წრე: პროფესიონალური, პოლიტიკური, დრამატიული. კვირაში ოთხი დღე დათმობილი აქვს ფასიან კინოს, მიდის ამერიკულ სატრიუკო სურათები. გამგე იძახის: „მართალია ეს ჩვენი კლუბისათვის შეუფერებელია, მაგრამ ყოველდღიურად ასეთი სურათი 3—4 თუმანს გვაძლევსო“. კლუბი თავის დანიშნულებას ამით სცილდება—საჭიროა ყურადღება და ზომები კლუბის გაცხოველებისათვის. ყოველივე ქართული თითქმის უყურადღებოდაა მიტოვებული. **შ.**

**წითელ თეატრში** (სახ. სახლში) სეზონი დაიწყო 7 ნოემბერს. დადგმულია „წითელი ოქტომბერი“, „დაჭქრის აჩრდილი ევროპაში“, „რიჟრაჟი“, „გესმის მოსკოვო“, „დღიურ საკითხზე სცენები“. რეჟისორებ დ მოწვეულნი არიან: დ. კობახიძე, ვ. გარრიკი, ა. წუწუნავა, რუსულ ქვესტორში—იგნატიევი და შესტოვი. მხატვრებად—კონსტანტინოვი. ხალხი საშუალოდ დადის. დღემდე უფასოდ მართავდენ წარმოდგენებს, ახლა ფასია დაწესებული 5 - 60 კაპეიკი. **ჯანი.**

**პლეხანოვის კლუბში** კვირას, 7 დეკემბ. ქართ. მუშათა დრამ. დასის მიერ პირველად ამ სეზონში წარმოდგენილ იქნა შ. დადიანის პიესა „გუშინდელნი“. სჩანდა რეჟისორის ხელი. ამ დადგმით კიდევ ერთი გამარჯვება მიიღო როგორც მისმა დამდგმელმა რეჟისორმა ვ. ნინიძემ, ისე დასმა. მთავარ როლებში სახალხო სახლის ცნობილი მსახიობნი სჩანდნენ. თავ. კოწიას როლი არაჩვეულებრივი სიხალისით და მშვენივრად შეასრულა ვ. ნინიძემ. იგი ნამდვილი ტიპიური კოწია იყო. ძლიერი იყო ან. ლითანიშვილი, მაზრის უფროსის როლში და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, ბუნებრივი ძველი მაზრის უფროსის სახე მოგვცა. ვ. ნინიძე და ა. ლითანიშვილი უეჭველად ღირსნი არიან კულტურული მსახიობის სახელის. ქ-ნ სოფ. რომანიშვილზე ფოფოდიას როლში აღარას ვიტყვი, რადგან ჩვენი საზოგადოება უკვე კარგად იცნობს მას როგორც ამისთანა როლების ერთ საუკეთესო შემსრულებელს. კარგი იყო ქ-ნი ივერიელი, კოწიას მეუღლის როლში, უფრო კარგი იქნებოდა რომ უალაგო ალაგას „ბოშო“, „ბოშო“ არ ეძახნა. სჩანდა ნაძალადევი ხაზები. კუდუხაშვილისას (ჩიტუნია) და ნინიძისას (ქნ. ფეცია) აკლდათ სითამამე. ესენი კარგი ძალები არიან ჩვენი სცენისათვის. კარგი ტიპი მოგვცა, იმერელი გლეხის, ჭანიშვილმა. დემეტრაშვილი—პორტრეტი იყო ძველი მამახლისის, ზოგ ადგილას უხერხულობას გრძნობდა, უფრო თავისუფალი უნდა ყოფილიყო. ალ. ჩითაძე—(ფუტურისტი) სრულიად ახალგაზრდაა, იძლევა მომავლის იმედს, სჭირია დიდი მუშაობა, უნდა ახსოვდეს რომ ყოველივე ზედმეტი სცენაზე არვარგა. უალაგო გაღიმება, აღელვების დროს, შთაბეჭდილებას აფერმკრთალებს. ბორია ლითანიშვილი (პრისტავი) უკვე ცნობილი სცენის მოყვარეა და კარგი ძალა. სჭირია გამოთქმის დამუშავება. კარგნი იყვნენ პავლიაშვილი—ბერდოსანი, და ახალგაზრდები პაპალაშვილი და კუპრაშვილ (სტრაჟნიკები) მასსიურ სცენებს არა უშავდა. იმ მდგომარეობაში მუშაობა, რომელშიაც უხდება ამ დასს, ასეთი ნაყოფი საკვირველია. **შალი.**

ხელმძღვანელი: **კოლეგია.**
რედაქტორ-გამომცემელი: **იოსებ იმედაშვილი.**

**ქართული მხატვრობის გამოფენა**
ნოემბრის 29-დან
**განათლების მუშაკთა დარბაზში**
კალოუბნის ქ. № 2. შესასვლელი ფასი—50—20 კაპ.
—1

**ფოტოგრაფია ტორისა**
ქ. თელავში ასრულებს
**ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს სუფთად და საჩქაროდ.**
4—1

**ფოტოგრაფია გვ. ქვანიანი**
(რუსთაველის პრ. № 8, „ზარია ვოსტოკა“-ს რედაქციის გვერდით, ეზოში, მუშათა სასახლის პირდაპირ)
**ასრულებს ყოველგვარ**
**საფოტოგრაფიო სამუშაოს**
**სუფთად,**
**სწრაფად,**
**ხელოვნურად.**
8—3

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქ. № 4. ნ. დ. მთავლიტი № 2177. ტირაჟი 1500.